

ଲୋଳା ଗାନ୍ଧୀ

ଓଡ଼ିଆ ଶିଳ୍ପିଙ୍କ

ლელა გაბური

ფილოსოფი

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი 2022

რედაქტორი: ამირან არაბული

მხატვარი: ბუბა არაბული

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022
© ლ. გაბური

ISBN 978-9941-34-192-2

წვიმა. ჩოშქა. ბავშვობა

ფიქრით ბავშვები ცხრამთას ვედებით,
(ცხადში კი - კალოს თივაზე ვზივართ),
ვტკბებით: თუნუქზე წვიმის წვეთები
ჩვენთვის უკრავენ ბახსა და ვივალდს.

ჭალაზე ზანტად მოწოლილ ნისლებს
პირქუმად,
ჯმუხად ჩაჰყურებს ჯურხა:
„საავდრო არის ნიშნები ისევ,
წუხელ ღულისთავ ცა რისხვით ქუხდა!“

ნანუა ჯავრობს: რომ შეჰყვა ისევ
ზენა უბნელის ხბო - ქვენა უბნელს,
მერე გვიღიმის ბავშვებს და გვივსებს
წერთხალათი და კენკეშით უბეს.

„ჩაალპობს ბალახს, - ჩივის სუმბატა,
ზამთრის ნეკრობად ვივლი უდავოდ,
ფუტკარმა თაფლსაც ველარ უმატა,
მთელი ზაფხული მიდის უდაროდ“.

ახლაც წვიმს...ფიქრით ცხრამთას ვედები,
თითქოს როშკაში კალოზე ვზივარ
და როგორც მაშინ წვიმის წვეთები,
თუნუქზე ჩვენთვის უკრავენ ვივალდს.

ეჭიული

სანაპიროზე ძუნძული არ ღლის,
ჩანს, ენატრება პატრონი, სახლი,
ფეხქვეშ გვეგება გამხდარი ძალი,
ლუკმა პურისთვის გვილოკავს ხელებს.

ზღვასთან კოცონი ბრიალებს სულთემად,
უკრავს ფშინე* და კამილი* უკრავს,
ზღვის ტალღებს მოაქვს სამყაროს სუნთქვა -
საშიში, ბნელი და იდუმალი.

ციდან ჩამოწყდა მსხემი ვარსკვლავი,
სურვილის ჩათქმა ვერ მოვასწარი,
შენ ახლა შორს ხარ და კვლავ მასწავლი
თმენით საკუთარ თავის შეცნობას.

ცეცხლი და წყალი ერთურთს ახელებს,
ტუჩებს ფერი აქვს მწიფე ძახველის,
უნდა წარმოვთქვა შენი სახელი
და ტალღებივით ვლელავ.

* „ფშინე“ და „კამილი“ - ჩერქეზული მუსიკალური საკრავები

სიკლიდან: „ღეწად ნათქვამი ცოცვები“...

დამშრალ კალაპოტს დაემსგავსა
ადამის სული,
აღარ მიელტვის იორდანეს
ცოდვების დაფლვით
ვეღარ მიმოჰქონის მთათა ზედა
„ვითარცა სურინ,“
ვეღარ აპურებს უდაბნოებს
მკალით და თაფლით.

ჩამომიჯექი სასთუმალთან,
არ მომატყუო,
აღთქმული ზეცა მოაგებე
გამონვდილ მაჯებს,
ერთი პატარა ლოცვა ვიცი,
იმას მოგიძლვინი,
სხვა ყველაფერი
უკვე დავხარჯე.

ბევრჯერ ვიგლოვე,
დავიყარე თავზე ნაცარი,
ჩამომეძინა ლამპრით ხელში
გელოდი ვიდრე,

გულწრფელი ლოცვაც ბევრჯერ ვცადე,
როგორც მასწავლე,
მაგრამ ერთი მთაც ვერ დავძარი,
ისევ იქ იდგნენ.

ბევრჯერ სანთელი ჩავაქრე და
ქატო გავცერი,
ბევრჯერ ფართო გზა ვამჯობინე
გზას - ძნელს და იწროს,
მოღალატე ვარ, ჩემო ლმერთო,
მაგრამ იმ ცრემლით,
უდაბნოზე რომ დაეცემა,
შენ უნდა მიცნო!

განმეობებითან ენგური ას მენახა აქამდე

ეს ბილიკი საუფლო
როგორ უნდა განქარდეს?!
ფეხქვეშ ხიდი ჭრიალებს,
მზე ორ ნაპირს დაჰხარის.
განმუხურთან ენგური
არ მენახა აქამდე,
თითქოს მოდის მდუმარე
არაგველთა ლაშქარი...
ჭალის სიოს ჩურჩული
გაუმხელელ ჩივილს ჰგავს,
თითქოს ქოჩორს უკოცნის
დედა ცხედარს შვილისას,
თითქოს გმირებს გლოვობენ ,
მწუხარებით ავსილნი,
ეს ტყეები ენგურის,
ეს ლელი და ასკილი.
ჩემო სისხლო, ტკივილო!
სულ ტყუილად მემდური,
შენი სულის საუფლო
დამიჯერე , აქ არი!
არ მენახა აქამდე
განმუხურთან ენგური,
თითქოს მოდის მდუმარე
არაგველთა ლაშქარი...

შენს მიწა-წყალს ვლოცავდი
ხახმატით და გუდანით,
ხან სანათა ვიყავი, ხანაც კოლხი იზიდა.
ორი სიტყვა ვისწავლე:
„მტერშა გვირჯვინუდანი!“
როცა რჩმენა მახვილად
სულში ამოიზიდა.

ლებარდეზე ლემადე
ლეგა ღრუბლებს გადმოშლის,
სულთქმას ამოჰყვებიან ჭყონის ყმანი ამაყად,
გაეხვევა ხიბულა
მზის მეწამულ სამოსში
და იქსოს იუდა ისევ გასცემს ამაღამ.

„ოდოიას“ ვგალობდი
ერდოდან და ეზოდან,
ეს ხმა როგორ დავკარგო, ცრემლი როგორ დავაშრო!
გერად როგორ მყოლოდი,
გულის ცეცხლად მეწვოდა
ნოღაჯიხის ფერდობზე სისხლისფერი ყაყაჩო!

ქერუბიმთა აკვნიდან,
იავნანავ, მეგრულო,
რისხვად ჩამოესეტყვე ავსულებს და ბატონებს,
წადი, წადი, წიწოლავ!
აქ რას ეძებ, ბედკრულო,
წადი, შენი ბეჭები სიკვდილს გამოატოლე!

გმირები არ კვდებიან,
შენ გმირებთან რა გინდა!
გაიდარებს, წყეულო, ან სულ როგორ იავდრებს?!
საბლად შემოგეხვევა
იქიდან და აქიდან,
წუთისოფლის შარაზე ჩაწიხლული სიმართლე.

სამარგალოს ვლოცავდი -
ხახმატით და გუდანით,
ხან სანათა ვიყავი, ხანაც კოლხი იზიდა!
ორი სიტყვა ვისწავლე:
„მტერშა გვირჯვებინუდანი“*,
როცა რწმენა მახვილად სულში ამოიზიდა.

* „მტერშა გვირჯვებინუდანი“ - მეგრ. მტერი დაგვმარცხებოდეს

მესხეთში თქმული

რუს კლდეზე თრიმლის ფოთლები
მოჰვავს ნაკვალევს სისხლის,
თმოგვთან ლოდები გოდებენ,
ყორლანთან მიწა იწვის.

დახე, რამდენი სიშლეგე!
რა ქარტეხილებს სუნთქავ,
გაღმა მტევანი გიჩეხეს,
გამოღმით კაფეს თუთა.

სუყველგან სათოფურია,
დავდივარ...
ვტირი...
მიკვირს.
დედაზე უფრო უტკბესო,
როგორ გადარჩი სიკვდილს?!

სუჟათი: ერბაისკახი

დედაჩემს დედა ბავშვობაში მოუკვდა,
ღილლოდან ცხენით მომავალი
ადიდებულმა არლუნმა იმსხვერპლა

ყველგან შენ გხედავ...
შენი სოფლის ლურჯი ცა მხურავს,
შენი ხელების და თვალების
სითბო მწყურია,
ციხის ჩარდახებს გადმოევლო
მიმინოს ქულა,
ბაბუანვერებს, ფურისულებს
შენი სუნი აქვს.

დედი, მოვედი,
შენი ციხის ნაშალთან ვდგავარ.
მღვრიე არლუნში
შენს მწყრალ სიზმრებს
მილალავს ქარი,
ქურანა ცხენსაც უცახცახებს
წითელი გავა,
ლეთამ უხმო და ბებოჩემი
ღილლოს იჩქარის...

თოქები „აღ მაჲთასზე“^{*}

...გვალვით დამსკადარი, ეკლიანი
მოჩანს სათავე,
სად მზეგაჭრილი კარიბჭიდან
სხვა ცას ერთვიან,
„მარჟაბა“, ღმერთო!
გამომხედე, ნახე, სადა ვარ,
ამ ქვების იქით - უკვე შენი ნაზარეთია.

უდაბნოს ვარდზე იხატება ტანჯვა ფერადი,
რთავს ეგვიპტელი მარიამის ნაფეხურს მიწა,
გამხმარი მკერდი, ბერნი საშო -
ქალი მენადის,
აქ გაზაფხულზე ღვთისმშობელის ცრემლებად იქცა.

მოილოგინა სინანული, ვინაც ვედრებით,
„მარჟაბა“**, ღმერთო, შენს სიყვარულს ვინც დაეწინდა,
უდაბნოს მიღმა ილანდება
ბაგა ბეთლემის -
ხევსური ქალის სამრელოსავით
ბნელი და წმინდა...

* „აღ მაჲთასი“- მაცხოვრის ნათლობის ადგილი იორდანიაში

** „მარჟაბა“ - არაბ. გამარჯობა

ლეგენდის თანახმად, სახელწოდება „ანაკლია
ოსმალეთის იმპერიის დროს ტყვევებით ვაჭრობას
უკავშირდება. დედას (ანას) შვილი მოსტაცეს და გემით
მიჰყავდათ, ქალი კი ზღვის ნაპირას სასოწარკვეთილი
მოსთქვამდა. მისი ხმის გაგონებაზე ხალხს უთქვამს:
„ანა რკიანს“ (მეგრ. ანა კივისო).

მოგვიანებით ეს სახელი „ანაკლიად“ გადაქცეულა

ლამღამობით ზღვის ტალღები
მთვარეს გულს რომ გადაუშლის,
ვიღაც კივის....ანა რკიანს,
ანა უხმობს დაკარგულ შვილს.

ამ დროს სძინავთ თოლიებს და
იღვიძებენ ნარცისები,
გულო, ტანჯვის ბარძიმი ხარ,
არც იცლები, არც ივსები.

სირინოზი აღარ გალობს,
ზეიმობენ ტყაშმაფები,
ეგლიჯება ქალს სხეული
და თმას იწენს გაშმაგებით.

ლამეს დარდით დააოსებს,
დააღამებს თვალებს გლოვა:
„ჩემი შვილი მთვარეს გაჰყვა,
ჩემი შვილი მალე მოვა...“

ხმა მიცეს ყიხიღან

„ჟამი მივია - მოვია
მიცუს, თორლვაის კარადა...“
ხალხური

ერთი პირშავი ღრუბელი
დასტირის კლდეთა სანახებს,
ხან ეტოტება უბელო
ცას და ბალლივით ალალებს.

შავ ფიქალებზე იელვებს
დრო: წერა- მწერლის
მცნობელი,
ხან მწარე, როგორც იელი,
ხან - წექტარივით მთრობელი.

ფეხებქვეშ მიწა შუშპარობს -
თორლვაის სისხლის ნამცვრევი,
არა მგონია, დუშმანო,
რომ იყო ჩემი წამქცევი.

გამხელა

ქალავ, ძალიან მიყვარდი,
ვფიცავ ამ მთათა სიმაღლეს,
ამ ბანზე შენი შახდომა
ბევრჯერ სიზმარში ვინატრე.

დღეს შენი ფეხით მოსულხარ,
აღარ გაგიშვებ არსადა,
მოვალ და ხანჯლით ავეუწავ
მაგ შენს ნაფერებ ქმარსა და

მემრ წავალ, გადვიჩებები
ტებულოს, გინდაც, დაქუეხს,
ეგ მთვარე ის მანდილია,
საჩემოდ რომ ვერ დაგხურე...

ესჯიზი ზღვისპინა ქადაქში

ამ სალამოსაც ზღვა გვიხმობს, ქვიშას
როგორც ვარსკვლავებს, იოლად დათვლი.
მსმენელს სცენისკენ უხმობს აფიშა:
„ბაროკო- პოპიტ“, „როკიტ“ და „ქანთრიტ“.

მიდის ვაჭრობა
და გაგანია ცხელ სეზონს
ცხელი უხდება ლამე:
„გიმზერ, ლამაზო
და მიხარია,
აქეთ მოიწი, დავლიოთ რამე...“

თავის სხეულის რომ იცის ფასი,
ტალღებს ნარნარად მოაპობს ქალი,
როგორც წყევლა და აპოკალიფსი,
ნაპირზე ხვდება ათასი თვალი.

გახსენება

ღმერთო, აღარც მახსოვდა...
წელან ვით მზის ამოსვლა,
სიყმანვილეს გამოვცდი,
სიყმანვილე გამომცდა.

სწორედ , სწორედ აქ იყო
ელდა, ისევ ბალლური,
ვარსკვლავები შატილის
და ლალობა არღუნით.

მახსოვს შენი ხელიდან
უცხო რამ ურუანტელი -
როგორც მიწის გამოცლა.
როგორც თეთრი ფანტელი...

ვერაფერი გავიგე,
გეწყინა და წახვედი,
წუთისოფლის ქარაგმა,
მერე ბევრი ავხსენით.

ალისფერი ლოყებით
მზის ალისფერს ვწვდებოდი,
სულ ცოტა დაგეცადა,
მეც ხომ გავიზრდებოდი.

(ნიკალას სახლ-მუზეუმში)

ფეფეს ფერადი ფარდაგი,
ახდენილ სიზმარს მაგონებს,
ყაყაჩოები კელაპტრად
უნთიათ რიბი-რაბოებს.

თვალი არ სწვდება საყანეს -
მზის ქობაშემონატარებს,
ნარი დასიცხულ მინდორში
დედოფალივით ნარნარებს.

აქ, მუზის დიად ტაძარში,
გული ტანჯვის ღმერთს ნებდება,
ვით საალდგომო ბატყანი,
იკვლება საკურთხეველთან.

მერე კი, ჭიქა ღვინოზე
ყელს ცრემლად ამოეჩრება,
როგორც ღაშოზე მიმინო
ტკივილით დაიგეშება.

ტარგადახვეულს მიტკალით
და უკვდავებას ვითარცა,
ფუნჯს - ფიროსმანის ხელნაპყრობს,
კრძალვით დავყურებ მინაზე...

ა-ს

შეყვარებულმა აჩუქა გოგოს
წინდა, რომელსაც ეხატა წერო
და მერე წვიმდა,
წვიმდა და წინდას
ეწვოდა იმ დღის
მხურვალე წამი.

ჯერ ადრე იყო,
რომ ეთქვა „დარჩი“,
ჯერ სასწაულებს არ ჰქონდა ბოლო
და წეროს
თხელი,
ლამაზი კანჭით,
მარადისობას
სწვდებოდა
გოგო.

ომი, მცხელი ღა ბავშვი

(დოკუმენტური პოეზია)

„მე ტკივილი ნანახი მქონდა
და ვფიქრობდი,
რომ ყველაზე საშინელი
ქვეყნად ის არის,
როდესაც ბიჭი შეგიყვარდება,
ხოლო მას კი შენ არ უყვარხარ.

ახლა კი ვიცი, რომ სამყაროში
ყველაზე უფრო საშინელი
ეს არის ომი,
ბომბების წვიმა...”
- ამბობს გოგონა,
თოთხმეტი წლის
და ცახცახი შესდგომია
გულჩიტა ტანში.

მარიუპოლის ნანგრევებში
დავმარხეთ დედა
და ჩემს პატარა ხუთი წლის ძმას
დედის თავშალი ჩამოვაფარე
ეს ყველაფერი რომ არ ენახა

და ვუთხარი, რომ დედას სძინავს,
უმჯობესია, არ გავალვიძოთ.
როცა გვშიოდა,
ბიძია სერგომ მტრედი მოკლა
და შეგვიწვა.
ჩვენ შევჭამეთ, მაგრამ მალე
ცუდად გავხდით
და მარტო დავრჩით,
რადგან ბიძიაც ნანგრევში მოჰყა,
როდესაც დედა წაიყვანა
დასამარხავად.

მე გთხოვთ, ილოცეთ!
გევედრებით,
ყველამ ილოცეთ,
რადგან სხვაგვარად გადარჩენა
ახლა ძნელია,”
- ამბობს გოგონა ,
თოთხმეტი წლის
და ცახცახი შესდგომია
გულჩიტა ტანში...

ალიონზე, როცა ჭიკჭიკას
დაიწყებენ ჩიტები,
ჰაუ, როგორ აგტკივდები,
როგორ გაგიჭირდები.

ღამის წვიმით დათქეშილი
დილით როცა გაშრება ,
სახლის უკან ალუბლები
და სახლის წინ ვაშლები,

შენი გულის დილის ელდად
მაშინ მოვალ ზეციდან,
როცა იგრძნობ, ჩემი სუნთქვა
თურმე მხოლოდ გესიზმარა.

ცივ ღუმელსაც ცივ სისხამზე
ისე ველარ აანთებ,
უწინდელი სიხარული
არ ექნება არაფერს.

იმ წუხრასაც გაიხსენებ,
ბავშვივით რომ მოგენდე
და მას მერე როგორ ვთხზავდი
სიყვარულზე ლეგენდებს.

მდუღარებით ავსებული
და მწუხარე ლანდებით,
აფეთქდება სიყვარული,
როცა დაგეკარგები.

ალიონზე როცა ჭიკჭიკს
დაიწყებენ ჩიტები,
ჰაუ, როგორ აგტკივდები,
როგორ გაგიჭირდები.

და გჭირისუფლობს
მიღეთის ხალხი,
შენთვის იხსნება
კარი ედემის,
შენ უერთდები
ზეციურ ძახილს,
ზეციურ სხეულს
შენ უერთდები.

არ დამთავრდება
რაც იყო, იგი:
შიში, იმედი,
ბრძოლა, დაცემა.
სულს შემორჩება
ნატვრათა რიგი,
მთვარის ყვავილი
და
აღტაცება...

პოეტი ღა პოეზია

დაშრა თვალები...
სავანე კი აქვეა, ახლოს,
ხელმოცარული მებადური ნაპირს ვერ გავცდი.
მინდა გაჩვენოთ ოქროს თევზი,
ფსკერზე რომ სახლობს
და ოკეანის ამოხაპვა მიხდება საცრით.

აწყდება ნაპირს აქოჩილი ტალღების რემა,
ჰა, დამსხვრეული,
დალენილი,
ფრთები - ურჩები...
მე დავბრუნდები
ირონია როცა დაცხრება,
მე დავბრუნდები,
თუ ამ ტალღებს გადავურჩები.

გაღაეციონის შეხვედრა ჩემს მამასთან - ღავით გაბუჟთან

ტოვებდა როცა თავის ჭიმლას,
თავის ახიელს,
იერი მაინც
ვერ მოირგო
ქალაქელ კაცთა,
სტუდენტობისას
ყმაწვილ მამას - ბრგეს და სახიერს,
უყვარდა თურმე
ხევსურული სამოსის ჩაცმა
და დადიოდა რუსთაველზე
ჯვრიან პერანგით,
მთიელ მოგვების
და ღვთიშვილთა ჩამომავალი.

გალაკტიონი დაუნახავს
ერთხელაც მის წინ.
(გაშეშდა მამა,
უყურებს და თვალს არ აშორებს),
...ის მოდიოდა რუსთაველზე
მარტო , თავისთვის
და ნამთვრალევი მისი მზერა
ეკიდა შორეთს.

მოულოდნელად
დაეფინა სახეზე შუქი.
იგი მამასთან მივიდა და
ჩახედა თვალში.
მერე ასწია მძიმედ, დინჯად მარჯვენა ხელი,
ჩამოატარა მამას თავზე,
შუბლზე, სხეულზე...
ჩაიპურდლუნა: „აი, რაა - ჯიში და გენი!!“
და უხმოდ გაჰყვა
ისევ პროსპექტს
ფეხარეული.

გალაკტიონის არის ეს დღე
ცივ ნოემბრისა.

(მარინა ჯოქიას)

მაღალი სისხლით,
მაღალქართულით,
კრძალული სანთლით,
სადა სანდლებით,
აპა, მოჰყვება
შენს ტყეს და ჭალებს
სტუმარი, ვისაც მტლად დაადნები.

ისმის მუსიკა შენი ტალღების,
შენს ჩქერს მოაპობს,
ცოცხლდება შენით
შველი - მარინას ლამაზი დარდი.

გატყობ, გიცვნია, არაგვო, ფიქრი
და მზერა
მზისებრ ნამარხულევი,
რომ გამოგიდგამს
სიპზე შანდლები
ქადაგის ხელით გასანთლულები.

კახეთში

მზის თვალს ამოხვრეპს
ლხენით ნასამხრევს,
წლეულს ექნება ღვინო ულევი,
ბიჭი ძირკოკში ნამყენს ახარებს,
ღილინით მიაქვს სავსე ურემი...

გაივლის დრო და
სურვილს ჩაუთქვამს,
ტყვიის პასუხად აფრენილ ღიმილს,
ის ბიჭი ბეჭებს გაშლის ჩაუქად -
პაპისას მაინც არ დათმობს ხირიმს.

მალულად მჯდარი,
იმ ჭადრის ბოლოს,
პირველი კოცნით - ლოყა რომ უხურს,
გაივლის დრო და ის ცელქი გოგო,
აუცილებლად გააჩენს ლუხუმს.

ხნულიდან შუქი კრთება ირიბი,
მზეზე ბრწყინავენ ქედები შორი
და კახთ დედოფლის თეთრ მანდილივით
გადაჰფენია მწვერვალებს თოვლი.

პანერემიური ლექსი

სიკვდილის შიში
შლეგსა თუ ჭკვიანს,
ობად მოედო
მოწამლულ ყოფით,
ვცხოვრობთ, თუ ამას ცხოვრება ჰქვია,
ჩაკეტილ წრეზე დავყვებით კოვიდს.

უფერულ დღეთა
მძიმე ჰაერი,
ამაზრზენ ჩრდილთან
ჭიდილით გვგესლავს.
ლოცვად შემდგარა უკვე კაენი,
გამოუცვლია პერანგი გველსაც.

პოეტები კი, გულზე ლექსებით,
მხურვალე მზერით ცრემლს რომ აშრობენ,
ჰგვანან სარეცხის გაწყვეტილ თოკზე,
ქარში გაპნეულ
სათამაშოებს.

ჩემს ღას - ნინიკოს

ნეტარი მზეების
შორი კუნძულია,
(თვალი საზეპურო
ითქმის),
ისეთი ლამაზი ხარ, მთვარე- ქალო,
მარადი ბავშვი ხარ თითქმის.

რაგინდ მოვინდომო,
მოგიძლვნა, ძნელია,
ტაეპი,
რომელიც გშვენის...
ყველა მეტაფორა
გახუნდა, ძველია,
ნატიფობს სიმშვიდე შენი.

განა აიხირე,
თვითონ არ გცილდება,
ვარსკვლავთა ხვამლების
რიდე!
უნდა მაპატიო, მთვარე ქალო,
ცრემლების ზღვას გადაგკიდე.

ისეთი სუფთა და ისეთი სხვაგვარი ხარ,
მარადი ბავშვი ხარ კიდევ.

პიჩველი თოვლი

დათოვლილ ნაძვზე
კენტად დამჯდარა,
ხმამალლა მოსთქვამს
შავი ყორანი,
ჩამოუჭირხლავს
ნამქერს ფანჯარა,
ყინულებს ჰერიდებს
ციხის ყორემდე.
ცას მსუბუქ ფიქრთა
უზადო ელვად,
მოუვერცხლია
თოვლის საყურე,
აღარც
ჩემიდან წამსვლელზე ვღელავ,
აღარც
ჩემამდე მომსვლელს გავყურებ.
როგორც ბავშვებმა იციან,
შორით
ხელს ვუშლი ფიფქებს
და ცად ავდივარ,
ვხარობ ამ დილას პირველი თოვლით
უმიზეზოდ და
ძლიერ მარტივად.

ხვახამზეს

აწყვეტილ ვნების კლანჭებში გაბმულს
და ქარიშხალში ჭენებით მთვრალებს,
ვით
საიდუმლო ორდენის საბუთს,
ის ყოველ ღამე ხუჭავდა თვალებს.

და მის სიცოცხლეს - ორად განაპობს,
შენ აერთებდი ისევ ცისმარე,
ლოყაზე ცრემლის დამშრალ კალაპოტს
ერთვოდა მისი ტკბილი სიზმარი.

ფარული ღვანწლით ცოდვა უცვლელი
გეთსემანის ამბად აქციე,
მთელი სიცოცხლე მას მიუძლვენი
და მის სიზმარშიც ვერ შეალწიე.

წყვდიადში სველი იფნების ჯარი
ოხრავდა და წყლულს გიმხელდა ქარი.
მის ფერხთით მშვიდი ბავშვივით მჯდარი
ქრისტეს სულთმობრძავ ქერუბიმს ჰგავდი.

ხსოვნას კანრავდა ცა - ნაფერები,
შენი ოცნება რომ ერქვა ერთ დროს
და სასთუმალზე მისი ხელები
სამადლობელი ძლვენივით ეწყო.

ისევ შემოღომა

ხმელი ფოთლების ხალიჩა მოსავს
ტყეებს და აკრთობს ხელის შეხება,
გინდა, გაექცე უსულო პროზას,
გადაარჩინო გინდა ეს ლელვა...

ქვიშაზე ზანტი თვლემით დალლილებს
მზე ელანდებათ მწველი ხრიკებით,
არ მოეწონათ შენი აქ მოსვლა
და ინაცვლებენ ადგილს ხვლიკები.

ო, რა ხანია, ყველა ავსულის,
ყველა აკრძალვას და საზღვარს გაცდი,
შემოდგომაზე ნაპოვნ ყვავილებს,
ლიმილით გინვდის ოცნების კაცი...

მუზას

„მთვარესთან წავა ყამარი,
მთვარესთან დაიმალება...“
ა. კალანდაძე

მე მეგონა, შემომწყერი,
თურმე არსად არ წასულხარ...
შე, საბრალოვ, აქვე მჯდარხარ,
ჩემი სახლის ხიდის ყურთან.

მე მეგონა, შენ დამტოვე,
თურმე თვითონ დამვიწყნიხარ,
რომ წავედი,
ჩავიარე,
ისევ იმ გზის მჯდარხარ მზირად.

წამო,
შემო!
არ გეწყინოს,
ვურაზავდი კარს ოცნებებს,
ყამარობა მეძნელა და
რა ვქნა,
ცოტა ჩამოვცრემლე.

ხომ არის დღეები,
რომლებიც ისე მოდიან,
რომ მათთან შესახვედრად
აუცილებლად,
(გინდა თუ არა!)

ჰაერზე უნდა დააბიჯო,
მერე ჰაერსაც გადააბიჯო,
წვიმის მდინარესაც
და როცა მზერაში
სასწაულის მოლოდინი გამოგიკრთება,
მაშინდა ალმოაჩინო,
რომ აბაზანის კარებში ხარ გახიდული
გასარეცხი პირსახოცით ხელში.

ხომ არის დღეები,
რომლებიც ასე მოდიან.

ლოცვა

ცის ძირაც შენ ხარ,
ცის ცაზედაც
და უფრო შორსაც,
კიდევ კარგი, რომ
ბუნებად გაქვს ყოფნა ამგვარი...
ჩემი გულისხმა
შენი მინდა რომ იყოს მარად,
შენ გეკუთვნოდეს
ჩემი ფიქრის ჭრელი სამკალი.
ჩემს უძლურ წადილს
და სუსტ ნებას
ფარად ეფარე,
ჩემს ნატვრის კარავს შენ გაბარებ,
მის ჭერს და ლიბოს
უკუნისამდე
შენი სულის
ებას ებანი.

...ისევ ეწია უფლის იარას,
გამეტებული წიხლი და დაშნა,
აჰა, წყურვილთან თვალი კი არა,
თვალებთან ისევ წყურვილი დაშრა.

რისთვის ამდენი წვირი და ღამე,
ამდენი სილა - რისთვის ლოყაზე.
რაღა მე, ღმერთო,
ღმერთო, რაღა მე,
ერთად ამდენი ფლიდი მოყვასი.

საგზლად ჯვარცმული ქრისტეს პერანგი,
როცა ამდენი კერპი ღალანებს,
რაღა მე ცხადში ჯავრი ვერაგი
და მხოლოდ სიზმრად - ბროლის საყანე!

რაღა მე, ღმერთო, სულ მუდამ სხვისკენ,
გაქჩერებული ლუკმა და დარი,
რაღა მე - მუდამ მტრიანი ციხე
და მეციხოვნე ღალატით მკვდარი.

რაღა მე - მუდამ ქვიშა ურემზე
და ისევ შხამი, შხამით დაგესლილს,
რაღა მე მიწის ფეხისგულებზე,
ბელურასავით მწირი ტრაპეზი.

ისევ ენია უფლის იარას
გამეტებული წიხლი და დაშნა,
აჰა, წყურვილთან თვალი კი არა,
თვალებთან ისევ წყურვილი დაშრა.

წეხილი

იმ ბელურამ
ნეტავ ლამე გაათენა?!
ფრთამოტეხილს
რომ ახვევდი თეთრ ფარჩაში.
იმან მაინც,
იმან მაინც რა ქნა ნეტავ?!
შენ ხომ კაი,
ვერ გადარჩი...

დღეს კვლავ მომინდა გამომეგზავნა
უმისამართო, ღია ბარათი,
რომ შეგადარო ჯვარცმულ იესოს
და კვლავ მოვირგო გიჟის ხალათი.

გახსოვს?! სამშობლოვ, სახრჩობელაზე
თავისუფლების ხმით რომ ბლაოდი,
ჩვენ უკვე ვიცით, ზეცის საგზალი
აიწონება იმ საწყაოთი.

არ შეგეშინდეს,
რწმენით იარე
და ცოდვა-მადლის სამანს მოატან!
ხარ შერისხული ლიბოს გველივით
და უცოდველი, როგორც დონატა!

„ხვალ მზედაპრძანების ხანს
სანეს გორზე გადავწყვიტოთ,
როგორ მოქცევას მოგვთხოვს დრო-უამი...”

შოთა არაბული
„ნისლისფერი ცხენები”

...სიზმარში ვხედავ
ნირნამხდარ მისანს,
ხევსურეთს — ციდან აღარც რომ მოჩანს,
სანეს გორიდან დანახულ მიზანს,
სანეს გორიდან გაზომილ დრო-უამს.

ვიდრე არაგვი წალმა ივლის და
ვიდრე ორწყალში მტრის გრილო მოდის,
არა, არ მოვშლი
ამ ჯიუტ ლოდინს,
მზედაპრძანების
ხანის
ხილვისა...

მშობლიური საცოცავში

გაუსაძლისი გადმოვცურე
მოუსავლეთი,
ნავთსაყუდელად მარადისის
კვლავ მეგულები,
ამ მწვერვალიდან , ვფიქრობ:
როდის, საით წავედი,
ან რად გეახელ
დაკანწრული
ფეხისგულებით?!
მსასოებლისად, მხმობელისად
ისევ იმედობ,
აჰა, არ მწადის სისუბუქე,
არც დაფნა მშვენი,
შენს კედლებამდე ჩემი ჯვარი
ვზიდე იმიტომ,
მეთქვა: მოვედი,
იყავნ ნება,
მაღალო შენი!!

დეკანოზ დავით ქვლივიძის ხსოვნას

ტაძრის სამრეკლოს
სულის სახმილი,
თოვლის ფიფქები

საბნად ებურა
და საშობაო ნაძვზე
ბალლივით
ჩუმად ტიროდა
ჩიტი ბელურა.

გარდაიცვალა, წერდნენ, მოძღვარი
ამ დილას,
გულმა ვეღარ გაუძლო,
საწუთრო შმაგი
და სულთმობრძავი,
საგზლად გვიმზადებს
ტკივილს აუნონს.

მისი ოლარის
შუქში ვიდექით,
შიში არ გვქონდა,
მუდამ ვახსოვდით,
უხვად მოჰქონდა
მადლი სიკეთის,
გულისგულიდან
ქრისტე მაცხოვრის.

ის ამ დილასაც
ზეცის უბეში,
გვლოცავდა მშვიდად,
თავისებურად
და ტაძრის ეზოს
როგორც ნუგეში,
თოვლის სპეტაკი
ფარდა ებურა.

ღამისფერი მოგონების მშობელს
აღარ მახსოვს, არა, არაფერი...
ო, უფალო, რატომ დამავიწყდა,
ის რიურაუი, სიტყვით დანაფენი.

ხსოვნის ფსკერზე ბინდბუნდივით კრთება,
რძისფერ ნისლში ჩაძირული სახლი,
მახსოვს... მახსოვს, მოლაციცე ბგერით,
ხელისგულზე მაძინებდი დაღლილს.

ო, იმ სახლში, პირველყოფილ სახლში,
ყველაფერი თამთამებდა სისვად,
იქ სამტვრევად ვერვინ იმეტებდა,
ცისფერ რტოებს დაფნისა და ბზისა.

ო, იმ სახლში,
პირველყოფილ სახლში,
მე ვიცოდი მოლალურის ენა,
მზის აკვანი, ო, რამდენი იყო,
და სუფევა - მზის აკვანთა ზენა.

ო, უფალო, არაფერი დარჩა!
მიწის ტკივილს სევდიანი ვუსმენ
და ამ მიწის სიზმარივით ვკოცნი,
შენი მაჯის სისხლმდინარე ლურსმნებს.

հոՇյա՛ն

մովալ դա մովալ,
մոնաթրեծիս ծոլուցոտ մովալ,
հրճոլուսոյեր շնչածե
սալմուս մտյմելու արազոն արո,
գոյսուս գոռտղեծնե -
ցոյմայու դա տավյարօնոնո,
ծավալունիս մերց
տավդապորա
կըուծուա
նցոմա...

კვლავ გადაგარჩენს უთქმელი ლექსი.
თავს წაგართმევს უხერხული როლის ძებნისას,
ისედაც ჯაჭვით სატარებელს -
გულსაც წაგართმევს,
ბნელ მუცელზე მაცილივით შემოგხვევს ხელებს
და მივიწყებულ ლოცვანივით შემოგაჩეჩებს
წვერმოტეხილ, გაცრეცილ ფანქარს.
მოგეწონება შენი სიშიშვლე,
სისხლის წვეთივით მოწითალო სისხამი თოვლი,
ამოგეზრდება ხერხემალზე თაფლის სანთლები,
გადმოგცვივდება თვალებიდან ყველა ტკივილი
და პირველშობილ ალიონზე
მთის წვერზე მდგარი
გაგახსენდება
მზის ნაკვერჩხლით სავსე აული.

ნაკიან ხარებს- ნახშირივით ნიშებს, ნიკორებს-
გაირეკავ დასარწყულებლად,
ავგაროზებად ყორნის ნაკორტნ შიბებს დაჰკიდებ,
შეგიყვარება უჩვეულოდ
ისევ უფალი
და როცა სიზმრად
ისევ ცოდვის ტაბლას დაიდგამ,
სამჯერ იყივლებს ცხადში მამალი.

თუ გადაგარჩენს, - ნათქვამი ლექსი!..

...რა ლამაზია იგი - წარსული,
სხვა ყველაფერი - რარიგ ჯაბანი,
რადგან სიცოცხლე არის სასრული,
მე ვრჩები ზეცის ავანჩავანი.

სისულელეა ასე ხარობდე,
როს პორიზონტზე ქრება მიზანი,
არ გავჩენილვარ იქნებ აროდეს
და ყველაფერი იყო სიზმარი.

მზეებს დაისრულს როგორ ავიტან,
მიღმურ სხივების მეძებს მარულა,
გამოპარულა ღმერთი კაციდან,
ცხადი სიზმრიდან გამოპარულა.

რა ლამაზია
იგი, წარსული...

ეპილემია

თუ დავახველე, ნუ შეშინდებით,
სულ უსაფრთხოა ჩემი ვირუსი,
ისევ გავივლი სველი წინდებით,
თუკი წვიმები მუზას წინ უსწრებს.

მე რახანია უკვე ავად ვარ,
(ო, არა, არ მწყინს,
თქვენ რომ არ წუხდით),
გული ისედაც ციხეში მყავდა
და ხშირად მჭამდა სევდის მარწუხი.

დიდი ხანია, არ მყოფნის სუნთქვა
და სიხარული თქვენთან შეხვედრის,
თუმც, მარტივია
(მართალი უთქვამთ),
გზა,
როცა ზეცას ხელით ეხები.

არ დამიჯერებთ,
მე მაინც გეტყვით,
ეს სენი ჩემი მეგობარია,
მან გაარჩია ჩალა და ფეტვი,
შავი და თეთრი, რაც დრომ არია.

სამყაროს იფქლი, სადაც ცად ადის,
ძლივს შევაფარე სული იმ წისქვილს,
ყოველდღე ჭურჭლის რეცხვის საბაბით,
ლექსებს ალარ ვყრი ქარში კინწისკვრით.

თუ დავახველე, ნუ შეშინდებით,
მუზის გვირგვინს წნავს ჩემი ვირუსი,
ლექსებს მივეცი მზე და იმედი
და ვიცი ბოლოს სულზე მომისწრებთ.

სინანელი

...გადაიარეს
ო, იმნაირ
უხეშ ნაბიჯით,
მიწაში
ველარ გამონასკვა
მარტმა
ენძელა.

(ეთერ თათარაიძეს)

მურგველას
აბჯრის ჟღრიალი
შენაქოს მოაქვს წინა ქარს,
აქ ფირუზს
ზეცა ციალით
თორლვას ხმლის ელვად ინახავს.

მიღიმის
მორცხვი თვალებით
ბადაგად ცისნამცხებული,
კენკეშა -
პატარძალივით
თეთრად ყელმოლერებული.

სულს
ყველა სურვილს უსრულებს,
აქ სხვა სხივია უქრობი,
შიშით ჩავხედავ
უფსკრულებს,
ჩანჩქერის უბეს ვეკრობი...

ჯვრის კარზე
მტერი ვარისხე,
მოვდივარ
ქრება ის შიში,

ისე მახარებს მგზავრის ხმა,
თითქოს შემომხვდა ძმა-შინში.

ღმერთო, მიცოცხლე სამშობლო,
მიცოცხლე ეს ტყე, ეს ჭალა,
დასტურად ამა ხილვათა
დანოთ მზე გადმომეშალა.

შიშის ქვეყნები
მოვვლე ქვითინით,
სახეს იცვლიდა ირგვლივ ყოველი,
და ვკითხულობდი : სად არს ქვითკირი,
დაუშრეტელი და მზეცხოველი?!

ნათობს მნათობი, ფერით რჩეული
და სხვას ყველაფერს ის ასამარებს,
მე კი შემოვრჩი, ვით მთვარეული
სიმღერის მსუბუქ იასამანებს.

ყველა ბილიკზე ეჭვის რიგია,
თითქო ბოროტთან ვრჩები უფაროდ,
ვერ გამიგია, ვერ გამიგია,
რომელი მხრიდან
მიხმობ, უფალო...

მახიამობა სწოში

აქ, სწოს ციხესთან
სხვაა ეს დილა,
მზის სხივს ამოჰყვა
ისევ იმედი,
ავეძრახები
ქართულ ყაიდით
მწყემსს -
საძოვარზე ხბოს რომ მიდენის:
„რა გიქვიანო მაგ ხბოს, დედილავ?!...”

გადაეყრება პირიდან ჯანლი,
გაიზაფხულებს უეცრად სთველი,
„ელენაიო“ - შემომლიმილებს,
„შენ ვინა ხარო, ან სადაველი?!“

მზეო მარიამ,
ვგრძნობ შენს მზეობას
და შენს ზეობას აქ, ამ მიწაზე,
თუმცა, მარამებს
მაინც სამშობლოს
ცაჩამოშლილი სულის სიმწარე.

აქ, სნოს ციხესთან
სხვაა სიცოცხლე,
სულში იღვრება სხივი სხვაგვარი,
ჯინაზე
გაღმა მოშლილ სამანის,
გამოღმა -
მაღლად ჰყივის მამალი.

...ღამეების უსასრულო წყება,
არც ლოდინი, აღარც აფეთქება.
ცას გადუვლის შეკივლების ტალღა
და ფარული ლოცვა დაიწყება.

გაურკვეველ ქარტეხილებს ერთვი
და აღარსად უნაპირო შვება,
კვდება წამი... ერთი სავსე წვეთი,
გარდაცვლილი საუკუნე დგება.

ლამის პეპები

(დაუსრულებელი ლექსი)

სუნთქვას დაჰყვება
ორლესული ჩემი ტკივილი,
რომ ვეჩვევი და ვერ შევეჩვიე.
უკვე ვიცოდით,
ბოლო ნეკნამდე გავშიშვლდებოდით
ერთმანეთის მზერის წინაშე
და სულს კბილით ვერ დავიჭერდით
და ამიტომაც მოვემზადეთ ამ წუთისათვის,
უსიტყვოდ და გააზრებულად.

მე წამოვისხი აპრეშუმის ჭრელი ხალათი
და გადაეწყვიტე მესაუბრა
იმის შესახებ,
თუ როგორ ჰგვანან
ამ ხალათზე დახატული ღამის პეპლები
მონატრებულ ბავშვობის მწუხრებს,
როდესაც დედა
ფეხაკრეფით დადიოდა საწოლებს შორის,
შუქს არ გვიქრობდა,

მხოლოდ ნათურის სიკაშვაშის დასაფარავად
აბაურის რკინის წკირებზე
გახუნებულ თავის კაბას შემოახვევდა
და მერე ხშირად
დედის ხელების ლბილი სითბო
და მყუდროება
დღისითაც იქ კონწიალობდა.

სუნთქვას დაჰყვება
ორლესული ჩემი ტკივილი.

სისხლიანი ღევჟი

ერთხელაც,
თავის ჩამოხრჩობა რომ დავაპირე,
როცა მოვირგე
ყელზე მჭიდროდ შავი საბელი,
სწორედ რომ ბედზე მომაგონდა მაშინ უეცრად,
რომ ჩემს ოთახში
უთო დამრჩა გამოსართველი...
სხვა რა გზა იყო, ჩამოვეხსენი,
რაღა თქმა უნდა,
უთოს ჩართულს ვერ დავტოვებდი.
მას შემდეგ
ხშირად მეკითხებიან:
„თუ პოეტი ხართ,
იქნება გვითხრათ,
რა ფერისაა აბსურდის სარკე?”
მე ვიღიმები,
ვიღიმები,
ბავშვივით სუფთად
და ველოდები,
თუ ოდესმე შეამჩნევს ვინმე,
ყელზე იარას
და
ოთახში
გამორთულ უთოს.

ეს ლამე ისევ აყვავდა წითლად,
გასისხლისფერდა
ეს სულიც, ტოტი...
როგორც წრიალა სიცარიელეს
ავუყმუვლდი და
დილამდე ვთრთოდი.
ჯერ ისევ იდგა
მზის შუქი კართან
და მიკვირს ქარში რა დროს გავედით,
რად დავამსხვრიეთ
ცივი თითებით
ცხელი მითები აღმოსავლეთის.
ჯერ ისევ ძონი ემოსა ყამარს
და სუნთქვა ლაწვზე -
ვით ელვა კრთოდის,
არ ვიცი, რატომ,
არ ვიცი, როდის...

ეს ლამე
ისევ აყვავდა წითლად,
გასისხლისფერდა
ეს სულიც, ტოტი.

დილა მშვიდობის,
გათენდა, ჩემო...
(როგორ სხვაგვარი
ლელვით გათენდა)
სიტყვები, ჩვენ რომ დიდხანს ვეძებდით,
როგორ იოლად გვითხრეს ამ მთებმა.

ჩამოფიფქულა ჩვენი ჩრდილი და
დღე არ ჰგავს დღემდე ხელით შენახებს,
მე არ მსმენია
აქამდე, ჩემო,
ასეთი თბილი თოვლის შესახებ.

და უკვე ვიცი, როგორიც გწამდი,
სწორედ ისეთი – მართალი ცამდი,
იმავე საგზლით,
იმავე ნაბდით,
მე მიგაცილებ, აი, იმ გზამდი.

იმ გზის იქით კი,
(ხელის ცეცებით)
ჩაგიდგებიან კვალში ლექსები...

გამოლვიძებას არ დაგაცდის,
არც სინანულის მკრთალი ქარვის
მიმოძიებას...
გაგიმეორებს:
იარე მაგ გზით -
ცხრაჯერ აღდგომას,
სადაც მოსდევს
დაცემა ცხრაჯერ.

ხმალაზე
ხმალაის წყალი,
გველივით ლოკავს იფნიანს,
ბევრი გიამპე,
ტკივილო,
რამდენი, ჯერ არ მითქვია...

როგორ თრთის
შენი რჩეული სისხლი,
ფოლადის ჯავშანგადაკრული
ხელებიც,
სახეც,
ხმაც,
როგორ გითრთის...
და მერე
ცვილის გულჩვილ ცრემლად
ბრნყინდება თვალში,
როცა იხსენებ
(სულთქმის ციხედ გადაქცეულ),
შენს გმირ წინაპარს
და მის საფლავზე ამოსულ ბალახს
ხმლის ვადასავით ებლაუჭები.
და როცა მისი აბჯრიანი,
ამაყი ლანდი,
სიკვდილ-სიცოცხლის
მარადიულ წრებრუნვაში
აბამს ფერხისას.

როგორ თრთის
შენი რჩეული სისხლი

յոտեզ»

...Չա Համբուրաս գրտասազոտ
օրշալենքա օրոնծագ
դա Եղվարդա մտղենմա
նուսլո Շեմոնրոնդա,
Տուշագոլո տու Տուշուկելոյ,
Րա օնցյենքա մտուս այստ,
Րոտ տաշուգենքա ամցարո,
Տեղապա Տոնատլուսակըն?!

მთელი დღეა,
უცნაურად ნირშეცვლილნი
მიმზერენ მთები:
როგორ ვწრიალებ ჩემი აივნის
თეთრ კუბოში
ქორწილისთვის გამზადებული.
(ეს იგივე აივანია,
სადაც, ოდესლაც დრო გაჩერდა
და სიცოცხლე
პირველად ვიგრძენ)
და ახლა...აქვე,
მშვიდს და უღონოს,
სუნთქვაშეკრულნი
მიმზერენ მთები -
მარადისობის
მარადმწვანე ნიშანსვეტები!

და... ვიმეორებ ისევ ჯიუტად:
- უნდა მოვიდეს ორიდან ერთი:
ან ლეგა ნისლი კარატის წვერის,
ან ფერლეგა ჩემი ქმარი -
კარატის ჯვრის ყმა!
უნდა მოვიდეს და მიბრძანოს:
- გამოვედ, გარე!
და გამომიხმოს,
აღმადგინოს თეთრ აკლდამიდან
როგორც ლაზარე!

სადა ხართ, მოდით!
თორემ ლოდინი გზისპირიდან
მზისპირისკენ გადაიხარა
და დაიღალა.

სადა ხართ, მოდით!
ხომ უნდა ნახოთ, როგორ ლამაზი,
ლერწმის სტვირივით
ტირილი ვიცი
(ძეხორციელი ვერ იტირებს
უფრო ლამაზად
და ვერ დააგზებს მთისძირ კარავში,
ასე მულერი ჰანგების კოცონს)
ხომ უნდა ნახოთ,
ლაუგარდოვანი ოკეანის
ძველი ნახმლევი
როგორ დაადნა
არაგვის ტალღებს
და როგორ მეწვის შავ თვალებში
მზედაკარგული
მერცხლების გუნდი.

სადა ხართ, მოდით!
ცა მინას ეკვრის არაგვს გალმა
და ალარ სუნთქავს,
არაგვს გამოლმა იფნის მწერივსაც
ცახცახი იტანს -
როცა ეხება უქადაგოდ დარჩენილი
დროშის ფესვები.
ქარიც შლეგდება,
ქარსაც მოსწყინდა,
უკაცისყუროდ დარჩენილი
სიტყვის ფრიალი.

აი, ძლიერი, მოქნილი ხელით,
უკვე გაიღო სამარის კარი.
ჩემი გულის ხმა
ნაბიჯების ხმად მეჩვენება:
ან ღრუბელია კარატის წვერის,
ან ღრუბლისფერი ჩემი ქმარი -
კარატის ჯვრის ყმა!
ნაჭრელაის წინდის წვერებზე
ავიწიე და გავიხედე.
აღარვინ ჩანდა!
სისხლიან ხილვებს და
მუზების სულთზიდებას შეჩვეულმა
ჩემმა სხეულმა,
ფარაონის თეთრ აკლდამაში
სადედოფლო გუდანური შემოიფუთნა.
და...აივსო ღამის სიჩუმე
კვლავ მოლოდინით,
და...აივსო ღამის სიჩუმე
კვლავ ურუანტელით.

აცახცახებდა იფნის ფესვებს
ნაპირგადალმა,
აცახცახებდა მთვარის ნალევს
ნაპირგამოლმა,
გვერდს იქცევდა და ცახცახებდა
შავ ლოგინში
ჩემთავმკვდარი-
ჩემი სწორფერი:

„რად წამიხვედი
სამწყრალოს, ქალო?!”-
მესმოდა მისი
ჩუმი ქვითინი.

հոմիլիս և տոնեցմունք

...ժրոժոնցին առա-առաս զօսմեն,
Ավարություն մողին Առաջ-Առաջ զօսմեն,
Դրագարտեսնա աժաեժաեֆա Շմադին,
Գալուշկոն մշուշու բժիշկունեն.

Նար-եկալմա գաոնցուսա Քանու,
Մեջանց կածա գամուշուու մնջենե,
Ծոլուց-ծոլուց զեխեդի մշիազրո
Ծա Եպարուստան նապնոն կենչենս զեծեն.

Ծույզեն, Ռազ զերա գրծնոն ամենուս,
Գզորուլցուն, Ռազ մոպուրեն եցր՞?
Ժուա-ժուա, մապունուն, կարցու,
Այ ծավալուն ձամեյարցա յըտել...

(ჩემი რძლის-
თეონა ჭინჭარაულის წერილიდან)

მომწერე რამე, ჩემო ძვირფასო,
რომ მომაწყუროს ისევ სიცოცხლე,
დაღლილ სხეულზე ამომდის ხავსი
და სულს კბილებით ვიჭერ, იცოდე.
იცოდე, სევდა შემომეჩვია,
მომწერე რამე, რომ მზით ავივსო,
დარდები ხრავენ - მწუხრებს ეჭვიანს,
აღარ თენდება დღე სამაისო.
სამყარო სავსე - ყალბი ლიმილით,
ვშიშობ, გრძნობებსაც გახდის საქაროდ,
მომწერე რამე, ისე ნამდვილი,
შემაურუოლოს და შემაკანკალოს.
როგორც სჩვევიათ ჩვენებრ გოგონებს,
უხვად დავწანი ნატვრის თოკები,
კაბაზე ვიქრობ ჭიაკოკონებს
და მიწითლდება ისევ ლოყები.
მომწერე რამე, რომ ხელუხლები,
ისევ მომწყურდეს ჩემი სიცოცხლე,
უფლის კალთაში მდგარი მუხლებით,
კვლავ დაღლილ სხეულს
ვგლოვობ, იცოდე...

გადაქცეულა ყოველივე
უკვე წარსულად,
გარინდებულა მიწის გული
და განძარცვულა,
ხვალ სამსხვერპლოზე
უკანასკნელ გულებს დაჰკლავენ
და ეხსომებათ მზის ქორწილი
მხოლოდ საფლავებს.

ივსება მიწა
ულმობელი ჯანლით ქაოსის,
დაგვავიწყდება
მალე სევდა - სააქაოსი,
...გადაქცეულა
ყოველივე
უკვე
წარსულად.

...როცა ღამდება, ვტოვებ პეიზაჟს,
მოხატულს ძლიერ ნაზი თითებით
და სადღაც მიაქვს ნეტარ - მეისარს
ჩემი მღელვარე ყოფის მითები.

ერთხელაც ღამის შეწყდება ლოცვა,
დღედ გარდასახვას ვიღაც დამიშლის,
იქნება ნაზი სიზმრიდან მოსვლა,
უმსუბუქესი ჩემი ნაბიჯის...

გაზაფხულს რიდით თავს დაბლა ვუხრი
და ვეფერები ზამთრის სადგურებს,
მესაოცრება რიურაჟიც, მწუხრიც,
ეს ცვლა მახარებს და მანადგურებს.

...როცა ღამდება, ვტოვებ პეიზაჟს,
მოხატულს ძლიერ ნაზი თითებით
და სადღაც მიაქვს ნეტარ-მეისარს,
ჩემი მღელვარე ყოფის მითები.

ჩაჭერ კილოზე

(სახუმარო)

აგრე მითხრეს, პატარაა,
შენ ვერაფერს გაგიგებსო,
მაკვრიელი* რომ წამოვა,
გამოვატან კაკილებსო**.

გოგოვ, ისე ტკბილუკა ხარ,
როგორც თაფლი ჯამითაო,
რაფრა მეტად გასვინტრიკდი***,
ბაჭულების**** ჭამითაო.

* მაკვრიელი - (რაჭ.) მეკვლე

** კაკილები - (რაჭ.) ბედის კვერები

*** გასვინტრიკდი - (რაჭ.) გასუქდი

**** ბაჭულები - (რაჭ.) რაჭული ხაჭაპური

ნუ ჩქარობ, გულო,
მეშინია, სიჩქარეში
მხედველობიდან არ გამოგვრჩეს
ჩვენი სიცოცხლე,
ან სიკვდილი არ გამოგვრჩეს
მხედველობიდან, ან სიყვარული!

სად გვეჩქარება?!
მომეცი ხელი,
დავივიწყოთ ყველა სიტყვა,
რაც უკვე გვითქვამს
და რაც არ გვითქვამს -
იმ ჯერუთქმელის კარიბჭესთან
გადავაჭდოთ ერთმანეთს სული,
გაფაციცების,
თავგანწირვის ისეთი ძალით,
რომ უეცრად მკვდრეთით აღდგომის
დაფარული,
კეთილშობილი საიდუმლო აღმოვაჩინოთ
და განვიცადოთ მეთორმეტე ნეკნის წიაღში
ტრიუმფალური დაბრუნების
საამო თრთოლვა.
(როგორც ამ რუხმა,
უამშეჭმულმა იფნის ფესვებმა).

ნუ ჩქარობ, გულო!
გადაიფრინა იმ დარღმა უკვე,
როცა ვიჯექი მაგიდასთან გამთენისას
და ვწერდი ლექსს და
ცალი ხელით ხახვს ვარჩევდი
წიწიბურასთვის,
ჰო, სწორედ მაშინ გადაიფრინა!

სად გვეჩქარება,
ისიც გვეყოფა,
მზე რომ ჩქარობს დასალიერთან.
მოდი, ჩამოვსხდეთ
ამ გზისპირზე მოცლილებივით,
ან გზააბნეულ ბავშვებივით
და ფერადი პეშვებით ვთვალოთ
ახდენილი ჩვენი სიზმარი.
გამოვატოლოთ ასკილის ტოტი
ჩვენს დაკანრულ სისხლისფერ გუგებს,
სადაც დაღლილი,
მშვენიერი სუნთქვა ყვავილობს!

ნუ ჩქარობ, გულო...

წაღმახის სიკავები

ჩიტის ნისკარტით მოტანილს ჰგავს შენი ამბავი.

ჩემი მსხვერპლი ქვიშაზე წევხარ.

მე კი მდუმარე, ფიქრში წასული ზემოდან გიცქერ
და ველოდები, სიკვდილს როდის შეურიგდები,
როგორც ყველაზე დიდ ბუნებრიობას.

გდის ცივი სისხლი

და მდუღარე ვულკანივით მიწვეთავს სულში.

აი, გაყუჩდი, აღარ გითრთის უკვე ლაყუჩი

და ქარი ხიდან ჩამოვარდნილ ტირიფის ფოთლებს
მიაფრიალებს არაგვისკენ, როგორც სუდარას.

კვლავ ილიცლიცებს გუბეები მდინარის ტანზე,
ჩამავალ მზეზე იქვირითებს შენი მოდგმა კიდევ
მრავალი,

მაგრამ უშენოდ.

მზე ჩადის...ჩადის.

შუბისტარზე წამოვაცვი გაყინული ორი თვალი

და ცრემლებს ვუშრობ ცისკენ მზირალ აქერცლილ
გუგებს.

გულალმა წევხარ (უხერხულია, სიკვდილს შეხვდე
უბრალმყოფივით პირქვემხობილი),

არაგვისპირის მძიმე ლოდებს ეხეთქება

მშვენიერი შენი სხეული,

ჩემიც ეგრეა.

მოშიმშილე, აუგსებელი ჩემი დღეები
და ჩემი მზერა- მოკანკალე ამოსუნთქვამდე
შეეზრდება, შეეხიზნება
საყვარელ კაცის მომდურავ თვალებს
და გაქვავებულს, ფრთებშეკვეცილს,
ისე უმწეოს,
აუკინძავს სინანულის მძივებად ცრემლებს
და ჩამოლვენთილ კელაპტართან მისი ხელები,
(საოცარი, თბილი ხელები:
დათვლილი ხალით,
დათვლილ ხაზით,
დათვლილი ვნებით),
სიკვდილის წინ ჩემი მაჯის თრთოლვით მჭერელნი,
ამ ფოთლებივით ჩამოწყდებიან.

ჩიტის ნისკარტით
მოტანილს ჰეგავს შენი ამბავი.
ჩემიც ეგრეა.

ბილილა სიცივით დაზრა,
დეკემბრის ქარები მოდის,
სადამდე შევიძლებ ამ წვას,
სადამდე შევიძლებ ლოდინს?!

საწუთრო ნარ-ეკალს თესავს,
ფერები ეცლება დაისს,
რა ხდება,
რა ხდება ჩემს თავს,
სად ვარ და მივდივარ საით.

წამსვლელი სიხარულს ვბედავ,
ღამდება, ღამდება თითქოს,
სულს უნდა სამყაროს ხედვა,
მიწა კი საზღაურს ითხოვს.

ბილილა სიცივით დაზრა,
დეკემბრის ქარები მოდის,
სადამდე შევიძლებ ამ წვას?!
სადამდე შევიძლებ ლოდინს?!

სეღიმ ხიდშიაშვილის ხსოვნას

...ოსმალთა ფაშას,
ამაყად მზირალს,
კაი ყმის სისხლი სურდა.
ოხშივარივით ამოაქვს მიწას
გარდასულ სულთა სუნთქვა.

სამყინავროს და ხარბალიჭალას,
მფრის თვალი ზვერავს ხარბად,
ავმა სიავე ვერ მოიშალა,
წყლულს ვერ უნამლა ხანმა.

ქრისტეს სხეულზე
სამსჯვალის ხმებად
ტკივილი სერავს სერებს,
ციხე კი ისევ შიგნიდან ტყდება,
მოგებულ
ბრძოლის მერე.

შემოღომა ახხოჭი

ჭიმლის ჭიუხთა ტანს ოქტომბერი
მოუხვევია, როგორც საბანი...
ახლა გამოვა ბანზე სწორფერი,
ბანისპირ პირი უნდა დაჰპანო.

თითებს სამყურას სურნელი ასდის,
უცნაურ თრთოლვით ითვლი ნაბიჯებს
და მისი ოდნავ მოხრილი ლანდი
ისევ ისეთი სნებით გაგიჟებს.

ხრაშუნობს ფეხქვეშ გამხმარი ბალბა,
კვდება და მშვიდი, ისე ამოა...
(რა ენალვლება, ახლა ჩავა და
იმ გაზაფხულზე ისევ ამოვა)

როგორც არხოტელთ კეკლუცი ქალა,
მზის შუქზე ქოჩორს იყვითლებს ქუჩი,
მწიფს ოქტომბერი და ლელვას მალავს
წყაროზე თუნგის
დახრილი ტუჩი.

ვიდრე ქუდნისლას ნისლით
მზე ჩვენს კარავთან მივა,
ვიდრე სული და სისხლი,
შეშლილია და ცივა.

ვიდრე, ჩემს თვალში დირე
და შენს თვალებში ბეწვი,
მარადისობის კართან
ღია ჭრილობად მეწვის.

ვერ მოვანატრებ არაგვს,
წუხილს - სამყაროს მკარგავს,
თვალებს - შენს გამო ტკივილს,
მუხლებს - შენს გამო კანკალს.

პირიქითიდან პირაქეთისკუნ,
ვახსენებთ ღმერთს და ანგელოზს წვერის,
სიტყვა სალექსო - სეტყვად გვეშლება
და ხსოვნას ლესავს მითები ძველი.
ხახმატისაკუნ მეტობს გულისთქმა,
ვეშვებით,
ნისლებს არ უჩანს ბოლო,
გამოგველია მწირი საგზალი,
ვსხდებით,
არაყზე ვაყოლებთ ღოლოს.

ბ-ნ ავთო გავაშეცს

ზის მასპინძელი -
ღმერთკაცს მაგონებს,
მუჭში უყრია
ცხელი თამბაქო.

ჰყვება: სათიბზე მართლა დავობდნენ,
შემერში - კრიმონა,
ღებში- ამბაკო.

რაჭა
ჩემს ბოლო ოცნებად ვკერე,
ვხვდები,
ხილვები თუ რად დამდევლნენ,
ხის სარკმლებიდან
თამარის კლდეებს -
ვუმზერ, ვით ჩემი სულის ნანგრევებს.
ლექსი-მურმანის, ლხინი - სხირტლაძის
და ნადირობა გაგნიძის გვიქო,
მრავალძალს
ქარვის ავგაროზივით,
ეკიდა მთვარის
ფერადი დისკო...

ՄՈՒՐ ՃԵՀՈՂԵԸ

(Ճա Տեզա ՇՎՈԼԹԿՎՁԱՐ ՃԵԴԵՑԵԿ)

Ի՞նչ վեղար Շեշեցած,
Տագուած Շվոլո.
Վաս աճալութիւն - Եղանակիւն!
Վեր մոշում մունց
Սյուլ ոճնազ մունցո,
Անցելությունը Շենո լուսալուն.
Մագրամ րա մերը?!
Ու ոլուց,
Մոնանց ներքա տեսյ դա եագու,
Ու լամանց գաասենցունց
Ճեցու սեյլուն
Ծառում մանունցունց սաեց,
Ռոմ աճալուա Ռնմենու հերուն
Շենո սատուտո տուրեծուտ տօնուա,
Ռուց ներքանու ցպաց անցելուն -
Սյուլ աճալուա մոնանց պողոնա.
Եւ յս սամպարու
Ցաւունու սուցարուն
Դա յերուսակու յանարու եւ արո ծեցու,
Ռա յնձա ցեյնա նուտուսուցուն
Երտու սուցուցելուտ
Ամանց մերու?...!

გაქცევა

ცას შვენის მთვარე -
პაწაწინა ცრემლის აკიდო,
მზერას იდუმალ გარინდების სხივი მოება,
უნდა წავიდე,
მეც ცის კიდეს ჩამოვეკიდო,
ვიდრე სამყარო დაიბრუნებს უმანკოებას.

საით მივდივარ,
რად ბნელდება, გზაა რა ვიწრო,
მიწა დაახრჩო,
მზეც დაახრჩო სისხლის ხუნდებმა,
უნდა გავიძლო, იმ წუთამდე უნდა გავიძლო,
ვიდრე სამყაროს სიყვარული არ მოსწყურდება.

ჩამოიწვერა სინანული, იწილ-ბიწილო,
ჩამოიღვენთა რიურაჟეულ სტალაგმიტებად,
უნდა ვიძინო,
თვალხილულმაც უნდა ვიძინო,
ვიდრე სამყარო ულექსობით არ აგმინდება.

ცას შვენის მთვარე,
პაწაწინა ცრემლის აკიდო,
მზერას იდუმალ გარინდების სხივი მოება,
უნდა წავიდე,
მეც ცის კიდეს ჩამოვეკიდო,
ვიდრე სამყარო დაიბრუნებს უმანკოებას.

აქ ქიმერებს ქარი ლენდეს-
ანჩხლი, გარენარი,
გიშრის დალალს ჩახვეული
იწვეს ამორძალი.
თავდახრილი იდგეს ხალხი,
გულში ჩხრეკდეს დარდებს,
სულ ცოტა ხნით გვიან იყოს,
სულ ცოტა ხნით- ადრე...
უხერხულად იდგეს კართან
ჩვენი გაზაფხული
და სწორფერი გულნაკლული,
ელდით დაზაფრული.
მწყაზარი და საანდრეზო,
იქ რომ მზე მიელის,
შეხვედრის დღე უნდა იყოს,
ისე მშვენიერი...

აშ ღაიხეხო...

არ დაიჯერო, თითქოს მაკლიხარ,
არ დაიჯერო, თითქოს გინატრე,
შენ ხომ ჩემთან ხარ დღისით და ღამით,
შენ ხომ ჩემში ხარ, როგორც სინათლე.

ჩვენი სიშორე ვინ მოიგონა,
ან მარტოსულად როგორ ჩამთვალეს,
რად ვერ ამჩნევენ, რომ მზეებივით,
შენი თვალები დააქვთ ჩემ თვალებს.

როგორ თქვეს ჩემზე: ცხოვრობს ეულად
და გულზე დარდებს იკრავს ღილივით,
სასაცილოა, რად ვერ შენიშნეს
ჩემს ბაგეებზე შენი ღიმილი.

უკვირთ, ალმართზე მყარად რომ მივალ,
მე ხომ გეყრდნობი მხარზე გოლიათს,
სასაცილოა, როდესაც ვტირი,
ის ცრემლი მარტო ჩემი ჰერნიათ.

მე შენი სულიც მიმაქვს სხეულით,
მინდა ლაუვარდის ფრთებზე ვარწიო
და უკვდავებას თუ ვერ ვუბოძებ,
ლექსებად მაინც გადავაქციო.

მახინა ჯოქიას ხსოვნას

„არა, არ მინდა ამოსვლა ზევით,
რადგან სიცოცხლე- სიმწუხარეა,
რადგან გარდაცვლილთ სიცოცხლე გვიმძიმს,
ისე ვით ცოცხლებს - სიკვდილი თვისი...“
შოთა ჩანტლაძე

...იქნებ მანდ ყოფნა მართლა ისეა,
როგორც ღამიდან გასვლა მთვარეში,
იქნებ
სიცოცხლე მართლა ნისლია
და სიზმარეულ ღანდთა თარეში.
იქნებ ეჩვევით ღამეთა ზიმზიმს
და მიწა თქვენთვის სევდა არ არი,
იქნება მართლა სიცოცხლე გიმძიმთ,
სიცოცხლე - ჩვენთვის ასე ნანატრი.
ღმერთო,
ეს დარდი, ეს წვა, ეს კითხვა,
პოეტს რაისთვის დასდევს ალმასად?
აი, ბელურა ცას ჩაეკონა -
ისე მარტივად,
ისე ღამაზად.

„ჭეშმარიტება ჭის ფსკერზეა...“
დემოკრიტე

ორმავ ცრემლი მომგვარა,
ამ გორამ და იმ გორამ...
ბედისწერის გორგალმა
იგორა და იგორა.
შავეთისკე მზირალმა ,
გულმა ვერა იღონა,
რაც ლმერთმა არ იცოდა,
კაცმა გამოიგონა.
მზემ თვალები დამინვა,
ცამ თან გადამიყოლა,
ჭაში ჩავიხედე და...
ჭაშიც არა იყო რა.

ზამთხისპინის ფიქები

...ჭვარტლიან ღუმელს
და ღუმელთან
ჩამუხლულ დედას,
მტკივანი გულით
და საოცრად მჭკნარი ხელებით,
კედელზე შპალერს,
ღელისპირზე გაძარცვულ ალვებს...
ყველაფერს - ნაცნობს და შეჩვეულს -
იმგვარად ვუმზერ,
თითქოს, ამ სახლში
ეს-ესაა ჩამოვესვი წეროთა გუნდებს,
მიწიერი
საიდუმლოს
ამოსახსნელად.

გმადლობ,
რომ ფერით ციცინათელის
ამიგსე სუნთქვა
და დღე ამინთე,
რომ აღარ მაკრთობს დინება დროის
და აღარც მისი ჭრელი ამინდი.
რომ გავუსწორე მზერა წავარნას
და ბენვის ხიდზე არ ვარ დახრილი,
გმადლობ,
რომ მთების წყაროსთვალივით,
სავსეა შენი ხმა და ძახილი.
რომ ვერ მეწევა - სიტყვა ჯაბანი
და სანთლად ვძერწავ
სიშმაგეს ლაფის,
გმადლობ,
დაეტყო შენით სამანი,
სიკვდილ - სიცოცხლის ულმობელ ნაპირს.

იახსრის ბეჭებს ვაკავებ სუნთქვით
და ზეცის თაღებს ვზომავ არშინით,
მოვედი, მთაო, რომ შენს კალთაში
ჩამოვისვენო
დალლილ ბავშვივით.

ჯერ არ მომიკვდე, ნისლო, აშლილო,
დათვისჯვარიდან - მტკვრამდე, ასამდე...
ერთი ლამეა გათენებამდე,
ერთი სიზმარი -
ცის პირგახსნამდე.

ვახეშუი ყოფებიშვილის ხსოვნას

იგივე დარჩა სოფელი,
მიგვახოხებს და მოხოხავს,
შენს ტკბილ სულს ვენაცვალებით,
იადონურად როხოხას.

სხვა რით ვუწამლებთ სულისძირ,
წამების ქროლვას - მუხანათს,
შენით დამწყემსილ კაფიებს,
ისევ ვაკვესებთ ბუხართან.

ხვალემ ხვალისა იამბოს,
დღეს ვთქვით და ვუსვამთ ბეჭედსა,
შატილ საშენო იაბოს,
ცხრანი მჭედელნი ჭედდესა.

უნდა ისმინოთ
სიცოცხლის ბოდვა
და ზიდოთ მიწის
პირშავი ურო,
ო, რამდენ ტანჯვას,
ო, რამდენ შფოთვას
უნდა გაუძლოთ -
სხეულო, სულო!

ცა მოგვანატრეპს
ლაჟვარდის სამოსს
და შემოგვრჩება
სევდა გვიანი.
სიცოცხლის გამოც,
სიკვდილის გამოც
რა ლამაზი ხარ, ადამიანო!

ლია ლიქოკელს

ჩამოასვენე
პირჯვრისწერას და
აღმატებით ხარისხში ბრუნვას
დაბადებიდან შეჩვეული შენი ხელები
და
შეგიძლია, მადლობაც უთხრა:
ხომ გიმშრალებენ თვალის უპეში მლაშე გუბეებს,
როცა ვეღარ პოულობ მიზეზს
ნეკის ნეკთან შესარიგებლად.
და როდესაც ,
ერთ უმთვარო, მრუმე ღამეში
მოგეჩვენება, თითქოს ფრენას გადაეჩვიე,
ხელის ჩაქნევას გირჩევნია,
რომ მიბაძმ მიუნპაუნზენს
და დაკარგული შენი თავი
შენივე ხელით ამოიყვანო ცივი სიზმრიდან
და აიყვანო ისევ ხელში,
წინდის ჩხირიდან
გამძვრალ თვალივით.
და...მუდამ გწამდეს,
რომ ძლიერია (არნახულად!)
პირჯვრისწერას
და აღმატებით ხარისხში ბრუნვას
დაბადებიდან შეჩვეული
სუსტი ხელები...

გიზეპირებდი, როგორც სასწაულს,
დაბადებიდან - დაბადებამდე.
გიმახსოვრებდი, როგორც სასწაულს
და ხსოვნის ზღურბლი მხრებით დამქონდა.
ვგავდი პეპელას -
სამ დღის სიცოცხლით,
ფრთეთა სისუსტით, ქართა ვერძლევით,
გიმახსოვრებდი, როგორც სასწაულს...

წუხილისფერი
მწუხრის აულში,
აღარ მოფრინდა
წუხელ გუგული.
დამთავრდა,
ჩემი ცრემლის ნაგუბარს
წვიმებად მოსვლას
ვეღარ დაუშლი...

ვილაც მესამე

ვამბობ: არ დავწერ! და ეს ფიქრებიც
ემატებიან იმ ძველ დღიურებს
და გაუმხელი ნატვრის მიგნებით,
ვიღაც მესამე ტანჯვას მიურვებს.
ვამბობ: არ დავწერ, ხარხარებს ვიღაც,
აღტაცებული ჩემივ წვალებით,
ის მტერ-მოყვარის ატარებს ნიღაბს
და დათვლილი აქვს ჩემთვის წამები.
როცა წარსულის ხსოვნას მივტირი,
ვიღაც ჩურჩულებს: „აღმართს ნუ ერჩი!“
როცა მგონია, დგება სიკვდილი,
ვიღაც მესამე
მიწვევს დუელში...

...და ვინც მონათლა ბინდისფერად წუთისოფელი,
საქმიან იერს -
კრიჭაშეკრულს და სასომიხდილს
ვერ წაართმევდი...
არ გინდა, არა, ორჯერ-ორის ფილოსოფიით
ნულარ კეკლუცობ,
დამნებდი, დროა,
მომნათვლელო ბინდისფერად
წუთის სოფელის...

გწამდა კი როსმე, ჩუქურთმების
თეთრი ლაზათის
ცისიერი გადმოდინების
ან ბილიკ-ხლართებს თუ მისდიე
წყაროთგორამდე
პირგამომშრალმა?
ნამათხოვრალი თუ სჭამე ლუკმა?
თუ ინატრე ძონ-ფარჩეული?
მაშინ, როდესაც თავმტკივანი
ციტრამონსაც (მხოლოდ ერთ აპს!)
ვერ შოულობდი უნაცნობებოდ.

გადაირია, ჩემო კარგო, ეს ამინდებიც,
დილა-სალამოს ვერ მიხვდები
საით მიდიხარ -

გაზაფხულისკენ ნაზამთრალი

თუ პირიქით:

ზამთრისპირის თეთრი საბანი

ეს-ესაა გადაგხადა ქარვამ ივნისის.

იაგუნდები ბინდისპირზე ვის უკრეფია,

იაგუნდები ბინდისპირზე ვის უკრეფია,

„თეთრვარდისფერი ალუჩების“

თუ არ მხედველთა?!

თუმც გზად მშველელიც არ მეგულება,
უკან დასახევ ბილიკებს ვიჭრი,
მიმაქვს ლოდინი და ერთგულება,
როგორც სასჯელად ქცეული ნიჭი!
უსაზღვროებით დამწვარ თვალებში
ჩასახლდებიან ბგერები სისვი,
შევხედავ: მიწას ზეცით გალენილს
და ვერ მივხვდები: საიდან, რისთვის!
არ მიძღვის ბრალი, სული სნეული
ვერ დაფრთიანდა საკენწეროედ
და ნაზამთრალი ჩემი სხეული
თბილ ქვეყნებისკენ მიაქვთ წეროებს.
არ მიძღვის ბრალი, დარდი რომ მმოსავს,
რომ აღტაცების ძალი წამერთვა,
რომ ვეგებები ლექსებად მოსულ,
მტკივან ექოებს ჯვარცმულ ღამეთა.
არ მეშინია, გაფრინდი, წამო!
და თუ აქ ვერვინ ვერ გადამიხდის,
სხვისთვის შენირულ სიცოცხლის გამო
მე პასუხს მოვთხოვ საკუთარ სიკვდილს.

ნუ დაღონდი, ბუბაილო...
ყურს ნუ უგდებ ყორნის ყრანტალს,
ავი ფიქრი არ გაივლო,
არ ჩაიდო დარდი გულში.
დარი ადგას ნადირთ ღრანტეს,
გადიარა მონადირებ
გზანვრილი და ხევი ქუში,
გადასერა ქარაფები,
მგლის მუხლით და ვეფხვის კლანჭით.

დაპრუნდება, ბუბაილო,
დარჩი ცეცხლთან,
ცეცხლთან დარჩი!

ფიქრების მერე,
ლამეების,
დღეების მერე,
ვიღაც დაიკრეფს
ნელ-თბილ გულზე სანთლისფერ ხელებს
და ვიდრე სითბო
სამუდამოდ
დასტოვებს სხეულს
და ვიდრე შუქი
თვალის ფსკერზე ჩაიღვენთება,
უსისხლო ბგერით,
ბაგეები კვლავაც იტყვიან:
„წუთი ყოფილა...“

ყამახის ლექსი

აქ ყოფნის გამო ვარ მგლოვიარე,
გულნასულ სიზმრებს ან რით ვაჯობო,
ღრუბელთბატონო, ჩამოიარე
და დამიბრუნე ბროლის სამშობლო!

თორემ ილევა სინათლის წვეთი,
ზეცაც ზამპახებს სხვისთვის დაისევს,
მე მიწისქვეშა მდინარეს ვერთვი
და ბნელშიც ვეძებ ედელვაისებს...

თორემ ცა ელვით გადაისერა,
უკუნში რჩება რწმენის ქალაქი
და სიყვარული, ვით ბედისწერა,
მომაქვს თქვენამდე ეკლის კალათით.

წვიმების გამო ვარ მგლოვიარე,
ღამეულ სიზმრებს ან რით ვაჯობო,
ღრუბელთბატონო, ჩამოიარე
და დამიბრუნე ბროლის სამშობლო.

(ფითრის ბილიკზე)

...თუ არასოდეს,
თუ არასოდეს -
არცერთი წუთით, არცერთი წამით
და არც წამის მეათასედით,
არ დარჩი მარტო
ფითრის კუნძულზე.
თუ ერთხელ მაინც არ შეგალენა ქარიშხალმა
ამღვრეულ ტაფობს,
ბოლო წამამდე
ერთხელ მაინც თუ არ იგრძენი -
ფითრისფერი ის ბოლო წამი:
როცა არც აქ ხარ
და არც იქ ხარ....
როცა არსად, არსად არა ხარ!
და ეძებ, სად ხარ...

როცა ეძებ ადგილსამყოფელს -
ბუდეს, ნაპირს, ოთახს, კარადას,
სად შეიძლება
რომ დაჰმალვოდი საკუთარ სხეულს.

როცა ჰერიც ფითრისფერია,
მზეც როს მიწაზე დაიარება -
ფითრის ფეხებით,
ფითრის ხელებით,
ფითრის თვალებით
და ისიც შენთან ერთად დაეძებს
საკუთარ სახლს და ადგილსამყოფელს...
როცა ყველაფერს -
ავტობუსიდან ჩამოსულ მგზავრებს,
გადამყიდველებს,
ჩიტებს და ბავშვებს,
ხედავ მარტო ფითრის ფერებით
და სახლიდან რომ იპარები
ფითრის ბილიკით
და მიდიხარ სოფლის ბოლოს
რკინეულის მაღაზიაში
და გამყიდველს რომ ეკითხები,
თოკი თუ გაქვთო,
არც მეტს, არც ნაკლებს -
მეტრანახევარს რომ ყიდულობ
და თვალით ზომავ,
ხომ გამოვა კისრისთვის ყულფი.
მერე ბრუნდები,
ფითრისფერი იმავ ბილიკით
და გულშიც კი არ გელიმება,

რადგან არ გახსოვს,
ირონიის დანიშნულება.
და აღარც ეძებ რაიმეს ისეთს,
რაც შეძლებდა
თუნდაც დროებით
ამოევსო სივრცისოდენა
ფიტრისფერი სიცარიელე
შენს თვალებს მიღმა.
როს არსად არ ხარ
და არც ეძებ, უკვე სადა ხარ,
თუ იყავი, ან თუ იქნები
რადგან ძებნა
ყველგან და მუდამ
იყო თვისება ადამიანის,
შენ კი დიდი ხნით
და დიდი ხნის წინ
მიგატოვა ადამის მოდგმამ
სულ მარტოდმარტო
ფიტრის კუნძულზე...

(14 თებერვლის გამო)

ფიქრის გვირილებს ვაკონწიალებ,
ვებრძვი ღამეთა უცხო ზმანებებს
და სიყვარულით სავსე ფიალებს,
მხოლოდ და მხოლოდ უფალს ვანებებ...

ხანჯლის ფხასავით გულს ნუ ეგები,
რა ვუყოთ, სისხლით საწუთო სცადე,
მე დაგიბრუნებ მისხალ და მისხალ,
უჩემოდ გავლილ წლებსა და წამებს.

შენ ნუ იდარდებ,
მზე შუბისტარზე
თუ დაიხარა და უამი სამხრობს,
ეს დილა იყო,
ეს ზამთრის დილა,
გაზაფხულით რომ მივსებდა სამყოფს.

სამბულოვიახო პეტრესია ქუჩაში

ჰო, როგორ არა,
მე თქვენ მახსოვხართ.
ჩვენ ქუჩაში
სულ შემთხვევით
ვხვდებოდით როცა
(უცნობები, რაღა თქმა უნდა),
ერთმანეთის თვალებში ვგრძნობდით
და წინასწარ გვრცხვენოდა თითქოს
ამ დღის გამო...

მე თქვენ მახსოვხართ.

ქაშმ

ქარო, რამე მომიტანე
ცის ნამივით ცინცხალი,
თორემ უფლის ნაფეხური
ვერსად ვეღარ ვიცანი.

ქარო, რამე მომიყევი,
სიყვარულზე - ლამაზი,
თორემ ვეღარ მოვირჩინე
დალენილი არმაზი.

ქარო, რამე მომაგონე,
ვეფხვის, მოყმის სადარი,
თორემ...უკვე ვეღარ ვხედავ,
ივერია სად არი.

ქარო, იქნებ დამიბრუნო
წიქარა და მზენვია,
თორემ ვატყობ, მათ სანაცვლოდ,
დევის დედა მეწვია.

ქარო, იქნებ მომეფერო,
მომირჩინო იარა,
იქნებ მითხრა, რომ გრიგალმა
უკვე გადაიარა...

თუნდაც

ღამე უკუნსაც გაათევს,
ცისკრის ამავსებს გალობა,
შავს ვაგორებდი კამათელს
და ბედი მუდამ მწყალობდა.

თუნდაც სიტყვები დამცილდნენ,
წრფელნი და გულუბრყვილონი,
გამწირონ გულთან სამწირედ,
განმძარცვონ ძენნა-ფილონი,

თუნდაც უძლებთა გაძლება,
ვერ ვნახო გზად და ფეხონად,
სიბნელის დასამარცხებლად
ნათლის იმედიც მეყოფა.

ჩესეთ-ჩეჩნეთის ომის ღმოს

ჩემს ქისტ ძმობილს-ელდარ აჭიშვილს

ახსოვთ ჩემს მთებს და
შენს მთებსაც ახსოვთ
მქისე მუხლი და მფახე კივილი,
ცით შორეულო
და მიწით ახლოვ,
მტერს, როგორც მოძმეს, ბევრჯერ გივლიდი.
ჩემი ჯილაგის სისხლზე ნაშობი
და მის ნაკვალევს გადევნებული,
დღეს მე ამტკივდა შენი სამშობლო,
ჩემი სამშობლოს
ჯვარზე ვნებული.

წახსულის ექმ

მზის მოლოდინი შერჩა,
თვალებს და ბაგეს - ხიბლი,
სადღაც ქილიკობს ეშმა
და ჩემს ნაბიჯებს ითვლის.

იმედით ვეძებ ზეიმს,
დილა იმძლავრებს მუქი
და არსაიდნ მზეი...
და არსაიდან შუქი...

ლამის წამლეკოს ეჭვმა,
(მსურს დამარცხება წითლის),
სადღაც ქილიკობს ეშმა
და ჩემს ნაბიჯებს ითვლის.

ჩემი მუხა
მუმლით შემორკალულია,
ჩემი მუხა
მოსაჭრელად გაიმეტეს,
მაგრამ დილას,
მზე ცისკრით რომ აღმოხდება,
ის მზე
რაღაც სიხარულით მაიმედებს...
შეჰერიან,
მწვანე რტოებს შეჰერიან,
არსთგამრიგე
რწმენის ხილვებს
ასურათებს,
ჩემი მუხა
ალაგ ფოთოლშემხმარია,
მაგრამ მაინც
ქარიშხლის ხმებს
აყურადებს.

განმასტობა მთის ქალაპზე

ცამ მიწას შემოუტია
წვიმის ლამაზი სიმით,
მდელოზე სოკოს ქუდიანს
მივესალამე ღიმით.

თავის ფიქრს მიარაკრაკებს,
არას მპასუხობს წყარო,
ცრემლის ბადეში გაბმული
აქეთ ნარჩიტა გალობს.

რად მოწყენით ხარ, მამულო,
რად მოწყენით ხართ, მთანო,
თავის წილს კვლავაც გავლენავთ
უღელტიალა კალოს...

3ჭვეულის სიკრიტიკა სხვაგვარის

(შაქრო მარგიანის ხსოვნას)

თქვენ მე მაჩუქეთ
პაწაწინა ცრემლის ნატეხი,
(როგორც თილისმა,
მისი შუქი აქამდე მდევდა),
თქვენ მე მაჩუქეთ
უცნაური ნათელ-ლადელი
და უსაზომო,
აუნონი სიმაღლე ფრთეთა.

ახლა კვლავ ვზივარ
თქვენეული მურყვამის ჩრდილში,
ვჭვრეტ სივრცეს სხვაგვარს,
დამმარცხებელს ჯანდის, ქაოსის
და რომ იცოდეთ,
ეს სიმაღლე, რა ფიქრებს მიშლის,
რომ აქ მოველ და
აღტაცებით ვეღარ გავვოცდი,

ასე მგონია,
დასტოვებდით მიწის სამყოფელს,
გამიძლვებოდით სამყაროსკენ
ცეცხლის ტაროსით.

არაფერი როცა არ იყო
ჩემი და შენი,
ბოლმაჩასახრჩობს
არვინ ეძებდა როცა ძალაყინს,
არც სიტყვას,
არც ლუკმას,
არც ცრემლს.

როს ყველაფერი
დაბადებას მოასწავებდა.
როცა გვახსოვდა ხსოვნის ფერი
და ხსოვნის გემო,
მაშინ, როდესაც უფლის საუფლო
ქაოსისთვის არ არსებობდა,
არც რითმისთვის არ არსებობდა
და გულის ცეცხლის საიდუმლო ქარსაცავიც
არ იყო მარტო.

იქ როს დამფრთხალი ბეღურებიც
სულს იშუშებდნენ და იყვნენ ზეცის
ყველაზე დიდ სასწაულის თანაზიარნი.
დიდ-პატარანი როს საოცარ ფერხულს უვლიდნენ,
ხან სიკვდილისთვის,
ხან სიცოცხლისთვის,
აგორებდნენ გრძნობის კამათელს.

სად იყო შიში,
(შიშის კამათლით სათამაშო კოშკებს აგებდნენ
და აქცევდნენ სულის შებერვით),
სულის შებერვით
აშრობდნენ თვალებს
მლაშე სითხისგან
და პოეტები სულ არ ცდილობდნენ,
ჭრელ-ჭრულ ფრაზებით ამოეყორათ
ხახადაფრჩნილ სივრცეთა ყბები,
რომ მერე თვითონ არ გამხდარიყვნენ
უნილო კერძნი
მარადისობის!

რა კარგი იყო,
არაფერი როცა არ იყო -
ჩემი და შენი.

შენმა სიკვდილმა
ჩაიარა
და
შენი სიცოცხლე
მე
დამიტოვა...

შემთხვევად შენთა,
მხურვალე მკლავთა,
მოვისწრაფვოდი,
ჰოი, როსავ არ!
ო, როგორ მწვავდა
და როგორ მკლავდა
შენი ირიბი მზერა,
ოსამა!

მერე თვალებში
ცა ელვად კვესდა
და შენი ღმერთი
ჩანდა აღარსად
და ღამლამობით
ღვთისმშობლის ფრესკას
ვემსგავსებოდით
მე და აღაზა.

სამშობლოს

მახვილი მტრისაკენ ნაგზები
და მხოლოდ უფალი თამადად,
რა გზები,
რა ხმით და
რა გზნებით,
ჰაუ, რა გამოვლეს მამათა...
სიზმრიდან
კვლავ ცხადში მომწყურდი,
მამულო, ნამუსის ქუდითა,
რა ვქნა და... მიყვარხარ, მორწყულო,
ხან სისხლით, ხან სვიან ლუდითა.
რა ვქნა და... არ მინდა ვასხვისო,
ლაუგარდი, ნახური ამინდად,
რა ვქნა და...
რომ მოკვდეს რაც იყო,
არ მინდა,
არ მინდა,
არ მინდა!

**ხატისკარზე რომ მივედი,
შვინდა უკვე შენირული დამხვდა**

ეჰ, ჩემო შვინდავ,
მაპატიე, ვერ მოგისწარი,
თუმც დეკიანზე
სულშეკრულმა
ვტეხე სავალი.
მხიარულია, ბედნიერი
დღეს ხატისკარი,
მეზღვნეც - მრავალი.
ვიცი, ალმართი
არ გეძნელა
სამსხვერპლოსაკენ
და მაინც მტკივა
გატეხილი ქედზე ერქვანი,
მუხლზე ჩაჩოქილს
როცა ხანჯლის წვერით გლოცავდნენ,
ვინ იცის...რისი მოლოდინით
თრთოდნენ ეგ რქანი.
თავისუფლების კარიბჭენი
იქნებ იცოდი,
ვერ იღებიან
მარტოოდენ იმედის ძალით,
ღმერთის ერთგული
მე მეგონე
მხოლოდ სიცოცხლით,
თურმე სიკვდილშიც,
ჩემო შვინდავ,
ხარ ლომის ცალი.

იქნება სჯობდეს

რაა საჭირო, რომ გაქრეს ლამე,
სიცოცხლისათვის რაა საჭირო?!
ო, სიყვარულო, მითხარი რამე,
სიკვდილს რარიგად გადაგარჩინო.

იქნება სჯობდეს, არ ჰმზერდე ტირილს,
არ ნახო, რწმენის გზა ვით გადახმა,
იქნებ სჯობს, ღრუბლის შეგიკრა ტივი
და გაგისტუმრო მიწის გადალმა.

მითხარი, იქნებ ჩემთან ხარ ფუჭად,
იქნებ გალონებ, უფლის ტარიგო,
...იქნება სჯობდეს, ავუყვე ქუჩას,
ნაპოვნ განძივით ჩამოგარიგო.

2021 წლის 19 თებერვალი

პირველკლასელმა გურულმა ბიჭუნამ
ყვავილებით მოჩითული საქართველოს რუკა დახატა.
ყვავილები მხოლოდ რუსეთის მიერ ოკუპირებულ
აფხაზეთსა და სამაჩაბლოში არ ეხატა!
ნახატს წარწერა ჰქონდა:
დამიბრუნე ჩემი მიწა, ყვავილები მინდა დავრგო...

მაგ გზით
შორს ვერ წახვალ, იცი,
წმინდა ტრაპეზს
მითვლი ხემსად,
შენ შენიც გაქვს
საკმარისი,
რაღა თავში იხლი ჩემსას.

ღვთისმშობელი
პირველს იწერს,
ტალღას
ცრემლში მირწევს რიწა,
კალთაში
კვლავ გმირი მიწევს,
დამიბრუნე ჩემი მიწა!

სახვალიო ხილვის მჩენი,
უდაბნოდ ვერ მიქცევ წალკოტს,
დამიბრუნე
მიწა ჩემი,
ყვავილები მინდა დავრგო.

გშორდები,
რაღაც იდუმალ კრძალვით,
იდუმალ ლოცვით
და მორჩილებით,
ვუახლოვდები
ქარის სამჭედლოს
და სამშვიდობო ბაირალებს
ვიკიდებ ფრთებზე -
პარამუტივით...

დედი,
ეს დღე შენი დღეა,
წმინდა სულის მოფენის,
მზე -
სამყაროს გადამრჩენი,
შენს საფლავთან მომელის.

დედი,
როგორ მენატრები,
სუსტი მხრებით,
იმ თავშლით,
რომლის სურნელს ჩემს ხსოვნაში
ვერაფერი გადაშლის.

დედი,
გახსოვს ყვავილები,
ბოლო ყოჩივარდები?!
პალატაში მოგიტანე,
ჩვენი რწმენის თავდებად.
მაგრამ, დედი, იმ დღეებმა
ალარ გამოიდარა,
ატმის ტოტზე
მარტმა ფარდად
დაგვიკიდა სუდარა.

დედი, როგორ მენატრება,
სულ რომ ჩემზე დარდობდი,

შენი მზერა ღვთიურ საგზლად,
ყველა გზაზე სამყოფი.
ნეტავ ისევ იღებოდეს,
ჩვენი სახლის კარები,
ნეტავ მყავდე
და შენს დარდსაც ალარ
დავიდარდებდი.

აღტეხნატივა

...ნასათუთებს და
შენაკონინებს,
მითიურ სულის
აკრძალულ ნაყოფს,
მთავაზობ, როგორც
ედემის ბალის
უკვე ნაცნობი სიუჟეტის
ალტერნატივას!

აღარ დასწომს შენს თვალებზე,
ხარ გაშლილი ქარში ექოდ,
მინდა ისე მოგეფერო,
ცამ გრიალით გადიჭუქოს.

მარად, ოდეს მტერმა გიმტრო,
ცით ხმა გესმა დარიგების:
„რაცა ღმერთსა არა სწადდეს,
არა საქმე არ იქნების...“

შეხვედრა

აი, ეს ერთი მოლოდინიც
დარღმა ალაგმა,
სდუმან ქარაფზე
ზეციური ტაძრის მხედრები,
რა უცნაური ბეჭისწერის გვერგო ქარაგმა,
რად დაგვებედა
ერთად შეყრა
ძაძით, ცრემლებით.
არ ვინანებდი
ამ ხმისათვის მეც თალხი მეცვას,
ოღონდაც მუდამ
ასე ახლოს ვიგრძნო უფალი,
ზარის გუგუნში ქადაგივით გავყურებ ზეცას,
შეუმჩნეველი
და უცნობი
ჭირისუფალი.

...ღამეების
უსასრულო წყება,
არც ლოდინი,
აღარც აფეთქება,
ცას გადუვლის
შეკივლების ტალღა
და ფარული ლოცვა
დაიწყება.

გაურკვეველ ქარტეხილებს ერთვი
და აღარსად
უნაპირო შვება,
კვდება წამი - ერთი სავსე წვეთი,
გარდაცვლილი
საუკუნე
დგება.

ბორბის ღერათა მონასტერში

ვზივარ და ველი
შენს განაჩენს,
შენს წმინდა სიტყვას.
რომ გითხრა
თავს ვგრძნობ ამ ლოდინში
ცუდად-მეთქი,
ასე არ არის.
აქ არის ცეცხლი!
სველი თმები
და გათოშილი ხელისგულებიც
უკვე გამითბა.
აქ უხილავი,
მზრუნველი მაჯა,
როგორდაც
დედის ხელებივით საცნაურდება.
მაგრამ...
რატომდაც...
კარის ოდნავი გაჭრიალება
და
ჩამოვარდნილ ფოთოლის ჩქამიც
ისე ძალუმად,
უცნაურად
მახედებს
უკან!

ოი, გზაო,
შორეულო,
ვით იაროს
კაცმან შენით,
თუკი თელენ
ვარდებს ტერფით,
თუკი დაფნა
აღარ შვენით.
თუკი
აღარავინ წყლულობს,
უფლის ნების
მტარი სენით,
ოი, გზაო,
შორეულო,
ვით იაროს
კაცმან შენით...

ახლა,
როცა შენთანა ვარ ფიქრით,
შენს ტკივილებს
ჩემს თვალებში ვნიღბავ,
ვფიქრობ, ნეტავ რა იქნება იქით,
ამ თვალების
და ტკივილის მიღმა.

საით მიჰქრის ლამეების წყება,
უტყვი სევდით
რად დავეძებ უფალს,
ნუთუ როსმე
ისევ დაიწყება,
ის, რაც
ერთხელ უკვე დაიღუპა.

რა სჯობია,
როცა უხვად ბარდნის,
როცა რწმენით
ცის გადავლას ლამობ,
ნუთუ, როსმე გაილევა დარდი,
სიყვარულის...
და სიკვდილის გამო?!

გეტს

...და ჩემი გული,
მარადცოცხლის ლხენით აღსავსე
და შენი გული -
მარადიულ ტანჯვით ზეიმი,
უფლისა იყო.
მე მომყავს ჩემი სიყვარული,
გახსენი გული!
სიყვარული ხომ ტყვეობაშია თავისუფალი,
გახსენი გული...
გახსენი გული,
ჩემი უფლის ციცქა ნაწილი!

ჩვენ გახსოვს?!
უკვე ვიყავით ერთ გულ,
ჩვენ გახსოვს?!
უკვე ვიყავით ერთ სულ.
მე მიწამ მშობა ზეცისათვის,
შენ ცამ - მიწისთვის,
მე ზეცისაკენ მივდიოდი,
შენ კი - მიწისკენ.

და
ჩვენ-ჩვენი გზით მიმავალნი
შევხვდით ერთმანეთს.
ცაში ვერ ავალ,
თუ შენს გულზე არ დავაბიჯე,
მიწას ვერ ნახავ, თუ

ჩემს გულში არ ჩამოსახლდი.
უნდა გაცვალონ ადგილები ჩვენმა გულებმა
და ერთმანეთის სამშობლოში
კვლავ განმარტოვდნენ.
მარტოობაა - დედაჩემი და დედაშენი.
მარტოობაა - სამშობლო ჩვენი!

მე მიყვარს შენი მარტოობა - ჩემსაზე მეტად,
მე მიყვარს შენი მარტოობა - ჩემსაზე უფრო,
არ შეგეშინდეს,
ჩემო ცაო
და
ჩემო თვალო,
მოვალ და ჩემი მარტოობით შეგენაცვლები.
გაათბე ჩემი მარტოობა
ვიდრე მე მოვალ,
შენს სიმარტოვეს -
შენს მოსვლამდე, მოვეფერები.

ერთი ალაგი
თავშესაფრად ჩვენ არ გვექნება,
ბედნიერება თავისთავთან დაბრუნებაა,
ჩვენ ველარასდროს დავბრუნდებით
საკუთარ თავთან,
ჩვენ ერთმანეთის სიმარტოვეს
ვერ მივატოვებთ.

მე შენს დუმილში
ვპოულობდი ყოველთვის სიტყვებს,
(იქნებ იმიტომ,
რომ ასე მსურდა...)
და საუბრობდა,
შენს დუმილში ნაპოვნ სიტყვებით -
ჩემი დუმილი
საკუთარ თავთან!

სხვები ეგებებიან
შენთვის დადგმულ კიბეს,
სხვები შემპირებიან,
ფარჩ-ატლასებს, დიბებს.
მათთან ლხენას მერჩივნა
შენთან ურვა-დარღი,
მე შენს ეკალს ვარჩევდი,
ამათ მოაქვთ ვარღი,
ამათ ნაკრეფ ვარსკვლავებს,
მიჯობს შავი ცაი,
სხვები მეფერებიან,
შენს საფერებს, ვაი...

მ- ს

სარზე ხვიარა ყვავილს ჰგავხარ
მზისკენ მიმსწრაფი,
სადაც სუსტია,
ღობეს იქ რომ შემოეხვევა და ვეღარ ტოვებს,
რადგანაც ფიქრობს,
რომ ეს ღობე თავის სუსტი მწკალით უჭირავს
და აწვდის საზრდოდ მზის სხივივით
მაცოცხლებელ რძეს და მანანას.

სადმე ქუჩაში
შემთხვევით რომ შემომხვდებოდი,
ბედნიერი ვჩუმდებოდი
და მოლოდინით გაყუჩებული
ყურს ვუგდებდი
ცვილისფერი ბაგებიდან ამოფრქვეულ,
ნათლითმოსილ მაგიურ ბგერებს,
თითქოს ისინი -
წარმავლობის ქარიშხლებით აწენილი
უჩინარი სტიქიონები-
მტვრიან ქუჩას და შენს ულაქო,
უბრჭყვიალო
თითებს ეჭირა,
როგორც კაბის
სადა მაქმანი.

ომით მინტა

...შიში ელდას დაატარებს,
ცას ესწრაფვის ფიქრი ლეგა,
ვუხმობ ქარებს,
ვუხმობ ქარებს,
სულის ჩემის წასალეკად.

გაცემული არის სესხი,
პირქუშები დგანან მთები,
სულს სწადია ომის ცეცხლი,
ბრძოლის ხმებით დანანთები.

ნატვრის ელდა დამაცხრება,
როს ცად მიდის ფიქრი წმინდა,
ომით მინდა დამარცხება,
გამარჯვებაც -
ომით მინდა.

მომნატრებიხარ,
შენ მოსახლევ სასოთგორის ჩემის წყურვილის,
მომნატრებიხარ -
ყელში დანის დაბჯენამდე
და ორ კვირამდე,
იმ ორ კვირამდე,
ზოლიანი ხალათის ფარჩით
მზეს რომ ვჭვრეტდი
სასონარმკვეთ თავისუფლებით.

მომნატრებიხარ,
შენ მოსახლევ სასოთგორის ჩემის წყურვილის.
მერამდენე გაზაფხული ხარ,
თუ არ პირველი,
უკანასკნელად გადმოღვრილი
დასალიერთან ჩემი თვალების.

მერამდენე მონატრება ხარ
თუ არ პირველი...
თუ არ პირველი,
და ამდენად -
უკანასკნელი.

მოვიდა წვიმა...

ო, სხვანაირად ყმაწვილურად და აბდაუბდად,
როგორც წრიული,

წვივმალალი სანტა კლაუსი...

მე დავდიოდი

მკვდარ სიტყვათა პანაშვიდებზე,

ვუსამძიმრებდი

ჭირისუფლად დარჩენილ სიტყვებს

და ძლიერ ვწუხდი,

რომ უფრო მეტს ვერ ვაკეთებდი...

და უეცრად

მოვიდა წვიმა.

მას დაესიზმრა

მოლივლივე ედემის ბალი,

ადამის ბაგემ როს პირველად უწოდა წვიმა

და მოუნდა კვლავ ყოფილიყო-

მოუნათლავი,

პირველქმნილი და უსახელო.

ის აუჯანყდა საკუთარ გზას,

საკუთარ ხმას,

საკუთარ ტკივილს

და

ამიტომაც მოვიდა ასე,

ყმაწვილურად და აბდაუბდად,

როგორც წრიული,

წვივმალალი

სანტა-კლაუსი.

ისევ სამშობლოს

მზიდან დაღლილი ფრთებით ეშვები,
აღარ გაცილებს ზეცის მაყარი,
გახსოვს?! ცხრაწყარო ხვრიპე პეშვებით,
გახსოვს?! იყავი ისე მაღალი.
გადაგეპოხა სანთლით ხელები,
აღარ გატყვია ძველი სიფიცხე,
გადაგავინყდა ცისარტყელები,
ცისარტყელებმაც გადაგივინყეს.
შენი უფალიც ჯვარცმით განდიდდა,
მალე გაცოხნით, ტანჯვის ხმიადო,
ნუ გეშინია, მოვა მარტი და
არაგვს მართვებს
ისევ მიანდობ.

უხარიათ,
როცა სიკვდილს
წყაროებამდე მიაცილებენ
და სოფლის კლუბში იკრიბებიან
დარდის წასაქცევად,
რადგან სიკვდილი აიძულებთ,
ცისკენ გაიხედონ
და
იმათვენ გაიხედონ,
ვინც სძულთ ან უყვართ,
ეს კი დამღლელია,
(კისრის კუნთები ეჭიმებათ),
ჰოდა, უხარიათ,
როცა შოშმინი ჩამოვარდება
ცას და მიწას შორის
და როცა სიკვდილს ობოლათ ახოში დაიგულებენ,
ხოლო საკუთარ თავს -
სახურავჩამტვრეულ
სოფლის კლუბში,
სადაც თავისუფლად შეიძლება
ხავიწითა და ქიშმიშიანი ფლავით
თავის შექცევა...
მან კი,
უეცრად,
ლექსი შეუკვეთა!!
(რა შუაში იყო?!)
ეტყობა, „ორი ქვეყნის მოქალაქეობა“
თავში ჰქონდა ავარდნილი,
ანდაც,

სიკვდილის მერიქიფე
წამნამზე ეკიდა
დედის ცრემლივით საკრალურად.
მე კი,
რატომდაც,
მათმა შემხედვარემ
გულში ჩავიკარი
შენი აჩეჩილი თავი
და მხრები,
სხეული...
ინს-ტინქ- ტურად!

ჩამოათოვა
მთებს -
მკაცრს და გოროზს,
ცა მსუბუქია
და გაცრეცილი.
ისეთი დღეა,
ო, ამ დღის ბოლოს -
უნდა დაისვას
მრავალწერტილი...

ვუძღვნი ხევსურეთის მთებში დალუპული პოეტის-
ზურაბ ჯაფარიძის ხსოვნას

...იმ ქუჩას,
სადაც უხვად ყრია მკვდარი ფოთლები,
წითელ-ყვითლები,
გაუღენთილნი ნისლით და ჭყაპით,
იმ ქუჩას,
სადაც მიმოდიან გამვლელნი სხვანიც,
მობუზულები,
ნაჩქარევად,
ნაყიდი პურით...
იგივე ქუჩას ჩამოივლის უხმოდ პოეტი.
(ქარის თითებში გაცრილი წვიმით),
არ დაეტყობა მის ნაბიჯებს,
მხრებსა და იერს,
რომ შინ მისვლამდე ერთი სული აქვს...
იტყვის უთქმელად,
გაიფიქრებს გაუფიქრებლად:
„დღეს რაღაც ხდება...“

უზარმაზარია სურვილი,
ყოველი დღე ახლადდაბადებას ვამსგავსო:
რომ მზე, მარტო მზე არ მეგონოს,
ბალახი - მარტო ბალახი,
ლიმილი - მარტო ლიმილი...

ალბათ ამ სურვილის გამოა,
ხშირად რომ
სასაცილოდ გამოვიყურები.

ღუმილი

აქ ყოფნის და...
აქ არ ყოფნის დამტევს,
დავეძებდი - იმ ერთადერთ სიტყვას,
ვწერდი ლექსებს...
და
დუმილზე მეტი,
თურმე მაინც
არაფერი მითქვამს.

მანოს ღა ნინოს

„გადარჩება? - ექიმებს ეკითხება ზოზია,
გადარჩება? - გმინავენ ლაზარეთის კედლები.
დაო, შენი ცრემლები ჩემთვის ავგაროზია,
დაო, მჯერა სიცხიანს, სადღაც დავეხეტები.
გადარჩება? - ექიმებს ეკითხება ჩემი და,
მე კი მიახლოვდება სამუდამო ქაოსი.“

ტ. გრანელი

რამდენი დარდი აგინძიათ,
მსახვრალი წამი, გთხოვთ, ნულარ შეგშლით,
მახსოვს, ორივე ჰგავდით ზოზიას
იმ ლაზარეთის დახშულ კედლებში.

მახსოვს, როდესაც ძლიერ მიჭირდა,
როცა უკუნში გზას ვერ ვიგნებდი,
ორივეს ტანჯვად გექცათ ნიჭი და
ორივემ ცრემლით ბანეთ იმედი.

მზეს დავეძებდი როცა წვალებით,
ბნელში გაჭრილი სამყაროს გზებით,
თან დამყვებოდნენ თქვენი თვალები,
როგორც მფარველი ანგელოზები.

მზისფერ დროშაზე აჭრილი სისხლი,
დღესაც საუფლო მადლის სწორია
და როცა თქვენი ყრუ გმინვა ისმის,
დღესაც ორივე ჰგავხართ ზოზიას.

„ნულა მეტყვით სამძიმარს,

გული არ შეიცვლება.“

გ. ჯაბუშანური

მზემ შესძლო-
მიდის უცრემლოდ,
არხვატის
ნათობს სათავე,
ექოს უცრემლო ტკივილის
ეს მერამდენედ ვათავებ.

გეტირებოდა -იტირე,
შესჭამე ტანჯვის ბარძიმი,
იზამს კი გული, ტიალი,
რომ არ მოვიდეს
სამძიმრით...

მოდი ჩემთან, ჩემო ნებიერავ,
ჩემო მშვენიერო ევა!
აი, ჩემი ნატანჯი მაჯა,
აი, ჩემი ნატანჯი სული...
ნუ შეგაშინებს ციხესავით მკვიდრად ნაშენი
ცოდვის კედელი.
გადმოაბიჯე ამ ყრუ კედელს,
ანდა ისე გადმოაფრინდი,
რომ სიზმარი ეგონო ყველას -
შენი ფრთების, სულის მოწილეს.

უნდა აკრიფო
დაფანტული, დაბნეული ჩემი სხეული.
არყოფნიდან უნდა აკრიფო.
(მერე სული თავის გზას ნახავს)
მზესუმზირები ისე დიდხანს უმზერენ ცისკარს,
ვიდრე ავ-კარგის დაულახავ ამღვრეულ ლეთას -
იორდანედ არ ადინებენ.
ნუ შეგაშინებს ათასმეურთედ დაცემული,
ნაქცეული შენი ადამი,
უნდა მიმიღო, ისევ ისე გადამარჩინო,
როგორც მაშინ -
ელვის, ელდის დღესასწაულზე.

უნდა გავცოცხლდე შენს სუნთქვაში,
რომ მერე ისევ არყოფნისკენ გაგექცე ურჩი
და გავიყოლო საგზლად შენი თმების სურნელი.
არ შეიყვარო ჩემზე უფრო
უჩემო ზეცა,
არ გამიმეტო,
არ დამტოვო
უცეცხლოდ, უღვთოდ.
მოდი ჩემთან -
ჩემო ნებიერავ,
ჩემო მშვენიერო ევა!

სიციცს გაღაჩვეულის ნათქვამი

...ნეტაი შენ,
შევნატრებ გამვლელს,
ნეტაი შენ!
ბაგეზე ღიმილი, ვითარ ათინათი
კვლავ კვალად გშთენ...
ნეტაი, შენ!

შეღასტა

სიცივეში, სიცივეში,
სუსხში...
გაჩერებაზე,
ფეხების ბაკაბუკში, ბოლთის ცემაში,
დიდი ხნის ლოდინის მერე,
ავტობუსი რომ გამოჩნდება.
მას რომ თვალს მოჰკრავენ და
მგზავრები რომ ერთმანეთს ლიმილს ესვრიან,
რომ წამოიშლებიან სახეგანათებულნი,
ჩანთებს რომ მოამზადებენ,
გზაზე გადმოდგებიან...
სიხარულისგან ზოგს
გულიც რომ შეუთრთოლდება
და...
ავტობუსი როცა მოვა,
რომ აღმოჩნდება მთლად გაჭედილი,
მძლოლი რომ ხელებს გაასავსავებს
შუშის იქიდან:
„რა ვქნა, რა გიყოთო,“
მხრებს რომ ასწევს და
ჩაიქროლებს, გზას გააგრძელებს.
რომ დარჩებიან რწმენადამშრალნი,
სახემტკნარნი და შუქჩამქრალნი
ყველანი უცებ.

რაღაც ამგვარი ვიგრძენი ახლა.

ქუჩაში

ჩვეულებრივი გამვლელებივით
გავცდით ერთმანეთს.

ერთი კია:

ჩვეულებრივ გამვლელებს
ასე არ ეშინიათ
ერთმანეთის თვალების
და არც ასეთი
ხაზგასმით იყურებიან
ურთიერთსაპირისპირო მხარეს.

(ძმის - გოჩა გაბურის ხსოვნას)

შავი დილაა,
შავად სცრის,
(თოვს იქნებ ახლა გუდელას),
თავის წილ ნატვრას
და ტკივილს
ღამე სიკვდილმაც უთენა.
ლოცვით ვუწამლებ წამებად,
ოხვრას სხეულში მიმალულს,
როგორც ყოველთვის, უფალო,
სიკვდილით ვსწავლობთ
სიყვარულს...

გაქრება მიწის ყვავილი,
უცაბედ თოვლის ფართალით,
სულის საოხად დარჩება,
ლექსი - ცხელი და მართალი.
შავი დილაა,
შავად სცრის,
(თოვს იქნებ ახლა გუდელას),
თავის წილ ნატვრას
და ტკივილს
ღამე სიკვდილმაც უთენა.

ცა ემუქრება
მიწას დალევით
და ჩემი ფიცი თითქოს დაბრუნდა,
შემომაშველეთ რწმენის ნალევი,
რომ ყვითელ კოცონს მივცე სალბუნად.

კანკალით
ფითრის გზაზე დავდეჭი,
ციურ ტაძართა ვხედავ დაცემას,
წინაპრებს მოაქვთ მთვარის ნატეხი
და ჩემი თმების სისხლში აწებენ.

ო, ძველ ლეგენდებს
ვინ მოიგონებს,
ამგვარ კრძალვით და ამგვარი შიშით,
გაფითრებული გვირილის კონებს
მოჰვავს უმსხვერპლოდ გამთბარი ნიში.

გამოსავალი

წამი...

ძალიან,

ისე ძალიან რომ მოგინდება

წაუკითხო ვინმეს ხმამაღლა

ლექსი, რომელსაც ჯერ მელანიც არ შეშრობია

და სხეულშიც

ჯერ ისევ რომ გრძნობ

მისი ყოფნით სისხლისგან დაცლილ,

მღვრიე კალაპოტს.

ისე ძალიან რომ მოგინდება

წაუკითხო ვინმეს ხმამაღლა,

როგორც ქორვაჭარს შუბა-კიტრის

დახლზე დაწყობა.

მიიხედები, მოიხედები ...

გარშემო ნაცნობს რომ ვერ იპოვი,

უიმედოდ ხელს რომ ჩაიქნევ

და გამოსავალს - ათასჯერ ნაცადს,

ათასმეურთედ ისევ მიაგნებ:

ლექსის სტრიქონით გამოტენილ

ლოყებს და ტუჩებს

ააფარებ სვიტრის საყელოს

(ვითომც და ისე... სიცივისათვის),

და გაუყვები

ხალხით სავსე ქუჩას

ბუტბუტით.

ქუჩაში კი იქნება წვიმა.

ზოგისათვის კუნაპეტის მნათო,
ჩემთვის ალარც წვეთო იმედისა,
ბედისწერის გორგოლაო, გორდი,
ერთხელ მიდი კეთილ დედაბრისას.

ზოგისათვის ცისარტყელის ბოლო,
მზით ერთხელ მეც მომიჩითე კორდი,
ალმა-ჩალმა, წალმა-უკუღმ მრბოლო,
ბედისწერის გორგოლაო, გორდი.

ღაყაჩული ფეხები...

რა მჭირდება,
და რაც მჭირდება,
რად მჭირდება?!
ნუთუ იმისთვის,
რომ ქალალდის დეფიციტის პირობებში
ცარიელი ფურცლები ვიმათხოვრო
სადაც ხელი მიმიწვდება
და ზედ შავი სიტყვების იეროგლიფები
ამოვანთხიო ბაგებიდან.
ან იქნებ იმიტომ მჭირდება,
რაც მჭირდება,
რომ კვლავ შევძლო,
მფრინავ კომეტებზე დამარხულ-გადამალული
ჩემი სადედოფლო სამოსის
წვიმამიპკურებული სურნელება
კვლავ მიწაზე დავაბრუნო
და ჩემივე აივნის საფეხურებზე მიმოვაპნიო,
როგორც გამჭვირვალე ნემსები,
რომლებზეც განგებ აბიჯებ,
რომ ისევ იგრძნო
დაკარგული ტკივილის სიცხოველე.

ნუთუ ტკივილი მჭირდება ისევ?!
რომელიც მანამდე ვაკონწიალე მზის სინათლეზე,
სანამ არ დავკარგე,

სანამ ჩემი გულის კარდიომიოციტებმა
უცხო სხეულივით არ გააყოლეს
სისხლის მდინარეს.

ნუთუ დაკარგულ ტკივილს ვეძებ ამდენი ხანი
და ამიტომ მაქვს
შავი ჭინჭრის გემოდაკრული
ყველა ლუკმა
საზეიმო ტრაპეზისთვის
გადანახული?!

გამიხარდა როგორ... ჰოდა,
გაინასკვა ყელში ლექსი,
ათას წლის წინ რომ მესმოდა,
რაღაც
ისეთები მესმის.
დროის კვალით
და ნაბიჯით,
შეგიცანი, ზეციერო,
როცა შენით სუნთქვა მიჭირს,
მხოლოდ მაშინ ვმეცნიერობ.
თებერვალი მადგას თავზე,
ჩემი მზე კი, უკვე მარტობს,
სად ხარ, ჩემი ცოდვით სავსევ,
არ მოგწყინდა ყოფნა მარტოს?!

ნიზო ბუჟერებს

(და ყველა ჩემს მეგობარს)

... ამოდი ჩემთან, რაღაცას გეტყვი,
თორემ იქნება დრო აღარ გვეყოს
და ბილიკები - გადანასეტყვი,
შეერთოს ჩუმი ქვითინის ექოს.

ამოდი, დარდი არ იყოს , ნინი,
ვიდრე კარებთან ვდგავარ და გელი,
ვიცინოთ ერთად და ირონიით
მიწა გავზომოთ ზეცის მტკაველით.

ვთქვათ, რომ ტკივილი ავსებს სამყაროს
ქრისტეს სურვილით თუ ვერ აენთო,
რომ ეს ტკივილი უნდა ვატაროთ,
ერთმანეთით თუ უერთმანეთოდ.

ხსოვნის ფსკერიდან კვლავ ამიშალე
ფიქრები, რასაც იმედით ვრთავდით,
ამოდი, ვიდრე არაგვის ჭალებს
ზამთრის ფერებით მოქარგავს მარტი.

...არ მეშინია უკვე არაფრის,
მე დასათმობი დავთმე ბოლომდის,
დღეს სინანულის ქარი არა ქრის,
დაუსრულებელს ვირჩევ მოლოდინს.
ჩემი სიკვდილი და დგომა ცალკე,
ლექსების სიკვდილს რადგან მერჩივნა,
მე მოველ შენთან, რომ დამეკარგე
და... სიყვარული
გადამერჩინა.

არ ვიცი, კიდევ რა გითხრა, ჩემო!
მიწაზე ვაფენ სულის ხავერდებს
და ჩემსკენ სავალ შენს გზა- ბილიკებს
ეს მერამდენედ უფალს ვავედრებ.

ეს მერამდენედ ზეცას ყამარის
ელვის ისრებმა გადაუარა,
დღეებს კი არა, წამებსაც ვითვლი
და შენზე იყოს,
მოხვალ თუ არა.

გზა

ღმერთო,
გუშინ ძმა ძმის ხელით
გარდაცვლილა,
მზე გაშავდა,
ცა ბრმა იჭვებს მასევდა,
ფართხალებდა თვალებლია ორაგული,
სულფონამდე ვერ გაღწეულ ფაცერთან.

სხვა ჰკიოდა:

„გადავრჩებით, თუკი გვიყვარს!“
მხრით მიჰქონდა ორივე ძმის საძვალე.
და გზა იგი, ასე ძნელი,
ასე მირღვა,
მაინც ვერცერთ
სხვა გზაში ვერ გავცვალე.

მგონია უკვე
გაჩენის დღიდან,
ჩემი ოცნების
ლურჯი კარავი
მივანდე
წვიმით
მოვერცხლილ ჭალას.

მოგზაურობენ ჩემი თვალები
წყაროდან - მზეში,
მზიდან - წყაროზე
და არაფერი სხვა არ მაქვს ნატვრა:
ჩემი ცხოვრებაც,
აი, ასე მიწანწკარობდეს
შენი თითების
მხურვალე პეშვში.

(მწერალ შოთა არაბულის
გარდაცვალების გამო)

გზა მეშორა და გორის ფხამდე ვერ გაცილებთ,
შინ დავსდგამ სულამაის ტაბლას,
(დედისაგან ნასწავლი მაქვს სუყველა ესეთურა,
არცრუ არ მეძნელება).
თქვენთან რა ხელი აქვს
ავსა და მაცილებს,
ეტყობა ლექსი არ მაძინებს.
თქვენთან რა ხელი აქვთ
ჩემფერ ჭირისმწყენლებს,
სწურთნიდით მტრების წუთისოფელს
და მაინც,
თუ რამე ვერ ვთქვა საკადრისად
(სულმნათო, ბატონად გხმობდით!),
აჰა, გაზაფხული
მოდგა დარიალთან
და... თქვან ენძელებმა.

ასას*

რამდენჯერ ბრძოლის დაადევნე
ყიუინა მხედრებს,
წიაღი შენი საიდუმლოს
რაოდენს მალავს,
რამდენი ტალღა ქარაფებზე
კვიცივით ხედნე
და ფიც-ვერცხლივით ჩაუთალე
კალმახი არაგვს.
გახსოვდეს, ახლაც ცად აზიდულ
ნისლიან ქედებს,
გულგატეხილი რომ ეჩვენო,
უფლება არ გაქვს.

* „ასა“ - მდინარე არხოტში.

თეთრი ლრუბლები დალმა მიდიან
და უხუნდება ცისკარს ფერები,
რაღაც ზეცაზე უფრო დიდია,
უფრო ნათელი და საფერები...

რაღაც იმაზე უფრო მეტია ,
რაც ჩვენ გვხიბლავს და
რაც ჩვენ გვაწვალებს,
ქარი მიწაზე ვერ დაეტია,
გაანაპირა ჩემი საძვალე.

ჰა, მოჩვენება საზრდოობს ხვალით,
ბილიკზე ლანდმა გადაიარა,
ვერხილვის მწუხრით ლამდება თვალი,
ვერცნობის დარდით იწვის იარა.

სოფლის ავტობუსის ფანჯჩიღან

წვიმს...

და

მერე რა, რომ წვიმს?!

ადამიანებს კიდევ ერთი საბაბი გვეძლევა,

რომ უბრალო კენჭში -

ნატვრისთვალს დავუწყოთ ძებნა

და ვერც კი ვიგრძნოთ,

რომ თვით ეს კენჭია

ნატვრისთვალი,

რომ გაჩენის დღიდან მუჭში

გვიჭირავს

და სადღაც ვეძებთ.

წვიმს...

და

მერე რა, რომ წვიმს?!

ადამიანებს კიდევ ერთი საბაბი გვეძლევა,

მაღალფარდოვანი სიტყვების

კოკობზინა დავუტრიალოთ

ერთმანეთს ცხვირწინ

(ჩვენი სულების

ქარვისფერ მელანქოლიაზე)

და რაც ყველაზე სამწუხაროა,

ვერც კი ვიგრძნოთ,

რომ ისინი

ოდნავადაც კი მეტნი არ არიან,

ავტობუსის ფანჯრის მინაზე
ცხვირმიჭყლეტილი
სოფლელი ბავშვის
ტიტინზე:
„...მე და პაპამ
იგეთი ადგილები ვიცით
ლეტნიკის ტყისკენა რო...

როგორც
დასტური
ჭეშმარიტების,
როგორც
ქარაგმა მარადისობის,
დღეს ჩემი ჯვარი -
შენს გულზე დევს და
სააქაოს მოყენებულ
ყველა
ჭრილობას ინანიებს

ნჩე

მე გავექცევი საკუთარ თვალებს,
უმისამართო ლანდად ქცეული,
გზის გასაყართან
დარჩება შიში -
უარყოფილი ჩემი სხეული.

სიცოცხლისეულს
ვიპოვი მიზანს
და ვივლი მისკენ ხელის ცეცებით,
ვიდრე სიმღერის თეთრი საგზალი,
გამომელევა და დავეცემი.

ბოლოს ოცნების სხივი გაწყდება,
დავუბრუნდები მიწის სახურავს,
მოვა უცნობი და დაღლილ მხრებზე,
ცრემლების წვიმას წამომახურავს.

და ის მოგიტანთ
წიალების
ამომხსნელ ნათელს,
გადაგიბუგავთ
სიძულვილის
თოვლიან სერებს
და ყოველივე -
თქვენი სულის
სარკეში მჩენი,
იმ ერთი წამის
ერთ ნაპერწკალს
დაემონება.

ლამე

...თვალი დაფრინავს
ლამის ჭერზე,
ლამის ფარდებზე,
ლამის ანკესით დაჭერილი
ფართხალებს მთვარე.
ირგვლივ ლამეა,
სულ ლამეა,
ყველგან ლამეა,
ლამის სხეულში შეფარული
კვნესის შუადღე.
ვით უარყოფა, მე მწყურია
სიმღერა ლამის,
ვით აღსარება მე მწადია
ლიმილი ლამის.
ლამე გამოდის კარადიდან,
თაროებიდან,
ლამე, გასული ოთახიდან
ქუჩაში მიდის.
და ლამეს ლამე მიჰყავს ხელკავით,
და ლამეს ლამე მიჰყავს ლამეში.
შპალერის ლამე,
სარკის ლამე
ერთურთს ერთვიან,
ყველანი ერთად
ჩემის სულის ლამეს ეძებენ,

რომ გადაიქცნენ
ხსოვნის ღამედ - ბოლოს და ბოლოს.
მე ბელურების ღამეების
არარა ვიცი,
მე ლოკოკინის ღამეების
აბა, რა მესმის,
არც პეპლის, არც მზის, არც მდინარის
ღამეში ვცხოვრობ.
მე ჩემი მხრებით
ყველაზე ძნელ ღამეს მივათრევ,
ყველაზე მძიმეს -
კაცთა მოდგმის
უმთვარო ღამეს.
ბევრიც რომ სთხოვო,
ო, არავინ გაგიცვლის ღამეს,
ყველას თავისი
ღამის ბოლოს ჰგონია შუქი,
ყველა თავისი ღამის ბოლოს
ელის სინათლეს.

ირგვლივ ღამეა,
სულ ღამეა,
ყველგან ღამეა,
ღამის ანკესით დაჭერილი
ფართხალებს მთვარე.

გადაიძრე
ბალახების
მსუბუქი სამოსი,
მოიცილე
ტვირთმძიმე ჩემი ნაბიჯი.
ნაბიჯები ათასეულთა...
და გამიშიშვლე მხურვალე გული,
სათქმელი მაქვს რაღაც შენთან,
დედაო მიწავ!

საჩრევი

| | |
|---|----|
| წვიმა. როშკა. ბავშვობა..... | 3 |
| ეტიუდი | 4 |
| ციკლიდან: „ლექსად ნათქვამი ლოცვები“ .. | 5 |
| განმუხურთან ენგური არ მენახა აქამდე..... | 7 |
| *** (შენს მიწა-წყალს ვლოცავდი) | 8 |
| მესხეთში თქმული | 10 |
| ფიქრები „ალ მაჰთასზე“ | 12 |
| *** (ლამღამობით ზღვის ტალღები) | 13 |
| ხმა მიცუს ციხიდან | 14 |
| გამხელა..... | 15 |
| ესკიზი ზღვისპირა ქალაქში..... | 16 |
| გახსენება | 17 |
| *** (ფეფეს ფერადი ფარდაგი) | 18 |
| ა-ს | 19 |
| ომი, მტრედი და ბავშვი | 20 |
| *** (ალიონზე, როცა ჭიკჭიკს)..... | 22 |
| *** (ალიონზე, როცა ჭიკჭიკს)..... | 24 |
| პოეტი და პოეზია..... | 25 |
| გალაკტიონის შეხვედრა ჩემს მამასთან - დავით გაბურთან.... | 26 |
| *** (მაღალი სისხლით) | 28 |
| კახეთში | 29 |
| პანდემიური ლექსი | 30 |
| ჩემს დას - ნინიკოს | 31 |
| პირველი თოვლი | 32 |
| ხვარამზე | 33 |
| ისევ შემოდგომა | 34 |
| მუზას | 35 |
| *** (ხომ არის დღეები) | 36 |
| ლოცვა..... | 37 |
| *** (...ისევ ენია უფლის იარას) | 38 |

| | |
|---|----|
| ნუხილი..... | 39 |
| *** (დღეს კვლავ მომინდა გამომეგზავნა) | 40 |
| *** (...სიზმარში ვხედავ)..... | 41 |
| მშობლიურ სალოცავში..... | 42 |
| *** (ტაძრის სამრეკლო)..... | 42 |
| *** (ლამისფერი მოგონების მშობელს) | 44 |
| როშკაში | 45 |
| *** (...სცადა და ისევ ვერ თქვა ხმამაღლა)..... | 46 |
| *** (...რა ლამაზია იგი - წარსული) | 47 |
| ეპიდემია | 48 |
| სინანული | 49 |
| *** (მურგველას) | 50 |
| *** (შიშის ქვეყნები) | 51 |
| მარიამობა სწოში..... | 52 |
| *** (...ლამეების უსასრულო წყება)..... | 53 |
| ლამის პეპლები | 54 |
| სისხლიანი ლექსი | 56 |
| *** (ეს ლამე ისევ აყვავდა წითლად) | 57 |
| *** (დილა მშვიდობის)..... | 58 |
| *** (გამოლვიძებას არ დაგაცდის) | 59 |
| *** (ხმალაზე) | 59 |
| *** (როგორ თრთის) | 60 |
| კითხვა..... | 61 |
| *** (მთელი დღეა) | 62 |
| როშკის სათიბებში..... | 65 |
| *** (მომწერე რამე, ჩემო ძვირფასო)..... | 66 |
| *** (გადაქცეულა ყოველივე)..... | 67 |
| ***(...როცა ლამდება) | 68 |
| რაჭულ კილოზე | 69 |
| *** (ნუ ჩქარობ, გულო)..... | 70 |
| კალმახის სიკვდილი | 72 |

| | |
|---|-----|
| *** (ბილილა სიცივით დაზრა) | 74 |
| სელიმ ხიმშიაშვილის ხსოვნას | 75 |
| შემოდგომა არხოგში..... | 76 |
| *** (ვიდრე ქუდნისლას ნისლით) | 77 |
| *** (პირიქითიდან პირაქეთისკენ) | 78 |
| ბ-ნ ავთო გავაშელს | 79 |
| ციცი გურიელს..... | 80 |
| გაქცევა | 81 |
| *** (აქ ქიმერებს ქარი ლენდეს) | 82 |
| არ დაიჯერო..... | 83 |
| მარინა ჯიქიას ხსოვნას | 84 |
| *** (ორმავ ცრემლი მომგვარა) | 85 |
| ზამთრისპირის ფიქრები | 86 |
| *** (გმადლობ)..... | 87 |
| *** (იახსრის ბეჭებს ვაკავებ სუნთქვით) | 88 |
| ვახუშტი კოტეტიშვილის ხსოვნას..... | 89 |
| *** (უნდა ისმინოთ)..... | 90 |
| *** (ჩამოასვენე) | 91 |
| *** (გიზეპირებდი, როგორც სასწაულს)..... | 92 |
| *** (წუხილისფერი) | 92 |
| ვიღაც მესამე | 93 |
| *** (...და ვინც მონათლა ბინდისფერად წუთისოფელი) | 94 |
| *** (თუმც გზად მშველელიც არ მეგულება) | 96 |
| *** (ნუ დალონდი, ბუბაილო)..... | 97 |
| *** (ფიქრების მერე) | 98 |
| ყამარის ლექსი | 99 |
| *** (...თუ არასოდეს) | 100 |
| *** (ფიქრის გვირილებს ვაკონწიალებ) | 103 |
| ქარო | 105 |
| თუნდაც..... | 106 |
| რუსეთ-ჩეჩენეთის ომის დროს | 107 |

| | |
|-----------------------------------|-----|
| წარსულის ექი | 108 |
| *** (ჩემი მუხა) | 109 |
| განმარტოება მთის კალთებზე | 110 |
| ვჭვრეტ სივრცეს სხვაგვარს | 111 |
| *** (არაფერი როცა არ იყო) | 112 |
| *** (შენმა სიკვდილმა) | 113 |
| *** (შემთხვევად შენთა) | 114 |
| სამშობლოს | 115 |
| *** (ეჰ, ჩემო შვინდავ) | 116 |
| იქნება სჯობდეს | 117 |
| 2021 წლის 19 თებერვალი | 118 |
| *** (გშორდები) | 119 |
| *** (დედი) | 120 |
| ალტერნატივა | 121 |
| *** (აღარ დასწვიმს შენს თვალებზე) | 122 |
| შეხვედრა | 123 |
| *** (...ღამეების) | 124 |
| ბოდბის დედათა მონასტერში | 125 |
| *** (ოი, გზაო) | 126 |
| *** (ახლა) | 127 |
| გულს | 128 |
| *** (მე შენს დუმილში) | 130 |
| *** (სხვები ეგებებიან) | 130 |
| მ-ს | 131 |
| ომით მინდა | 132 |
| *** (მომნატრებიხარ) | 133 |
| *** (მოვიდა წვიმა...) | 134 |
| ისევ სამშობლოს | 135 |
| *** (უხარიათ) | 136 |
| *** (ჩამოათოვა) | 137 |
| *** (...იმ ქუჩას) | 138 |

| | |
|---|-----|
| *** (უზარმაზარია სურვილი) | 139 |
| დუმილი | 139 |
| მანოს და ნინოს | 140 |
| *** (მზემ შესძლო) | 141 |
| *** (მოდი ჩემთან, ჩემო ნებიერავ) | 142 |
| სიცილს გადაჩვეულის ნათქვამი | 143 |
| შედარება | 144 |
| ქუჩაში | 145 |
| *** (შავი დილაა) | 146 |
| *** (ცა ემუქრება) | 147 |
| გამოსავალი | 148 |
| *** (ზოგისათვის კუნაპეტის მნათო) | 149 |
| დაკარგული ფერები | 150 |
| *** (გამიხარდა როგორ... ჰოდა) | 152 |
| ნინო ბურდულს | 153 |
| *** (...არ მეშინია უკვე არაფრის) | 154 |
| *** (არ ვიცი, კიდევ რა გითხრა, ჩემო!) | 154 |
| გზა | 155 |
| *** (მგონია უკვე) | 156 |
| *** (გზა მეშორა და გორის ფხამდე ვერ გაცილებთ) | 157 |
| ასას | 158 |
| *** (თეთრი ღრუბლები დალმა მიდიან) | 159 |
| სოფლის ავტობუსის ფანჯრიდან | 160 |
| *** (როგორც) | 161 |
| წრე | 162 |
| *** (და ის მოგიტანთ) | 163 |
| ღამე | 164 |
| *** (გადაიძრე) | 166 |

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტეფაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47

E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22



ლელა გაგარი

პოეტი, საბავშვი მწერალი, მკულოვარი, პროფესიონალ არის ცქიმი, მედიკინის მეცნიერებათა დოქტორი.

1993 წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 2006 წელს დაიკლა დისერტაცია თემაზე: „ტრადიციული მედიცინა და ბიოტექნიკის საკითხები საქართველოში“. გამოიქვეყნებული აქვა სამეცნიერო ნამრავების მედიკინის ისტორიის, ხელსურული ფოლკლორისა და ბიბლიისტიკის სფეროში.

პრეველი ლექციები გამოიქვეყნა ურნაღ „ნობათში“ 1984 წელს. მას შემდეგ ხისტემატიურად იმპეტუალ გამოცემების „ლიტერატურული საქართველო“, „ცისცარი“, „მნიშობი“, „ასაფალ-დაბავები“, „კურის პალიტრა“, „ლიტერატურული გაზეთი“ და სხვ.

არის 3 პოეტური კრებულისა და 4 საბავშვი ნიგნის აკტორი, მწერალია კუმინის პრემიის ლაურეატი, იაკობ გოგებაშვილის სახელისას საბავშვი და საყმანეოლი ლიტერატურის კრიტიკის რჩევის ნომინანტი.

2011 წლიდან ცხოვრისას ხელსურეობი. არის ასპ „ხელსური ქალები ჯანსაღი მოძალისათვის“ დამუსწმებული და თავმჯდომარე, გამხორციელებული აქვა არაერთი პროექტი შეამსახურის შოახსლეობის დასახმარებლად.